საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქართველნო, ერთად ვიდგეთ!

დღეს, 28 აგვისტოს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მარიამის მიძინების დღისთვის, ქუთაისში საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მონაწილეობით აღინიშნება ერის მთლიანობის, ქვეყნის სიძლიერის დღე.

ჩვენი სახელმწიფოებრივი მთლიანობის სიმბოლოს—ბაგრატის ტაძრის წმინდა მიწაზე დაიდება ფიცი, რომ ქართველის ხელით ქართველის სისხლი აღარ დაიღვრება, რომ ქართველი ერი ერთსულ და ერთხორც შეკავშირდება.

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 189 (717) შაბათი, 28 აგვისტო, 1993 წელი ფასი 25 კუპონი

პირველი სვეტი

კამერას ართმევდნენ

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს საინფორმაციო-ანალიზურ ცენტრში „აისი“ აცნობეს, აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სამხრივი შეთანხმებით გათვალისწინებული მხარეთა დაშორიშორების და ჯარების გაყვანის გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, 26 აგვისტოს გამართეს დროებითი საკონტროლო ჯგუფების საგუშაგოები რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, — საავტომობილო და სარკინიგზო ხიდების აქეთ-იქით მდინარე ფსოუზე, აგრეთვე, ეგრეთ წოდებულ, კიდულ ხიდთან სოფელ მიკელრიფშის მახლობლად.

იმავე დღეს მდინარე ფსოუზე საზღვართან საგუშაგოების დასათვალიერებლად მივიდნენ სამმხრივი კომისიის წევრები, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი ხარაზიძე, აგრეთვე ტელეჟურნალისტი, გაერთიანებული კომისიის პრესცენტრში აკრედიტებული ქართული ნაწილის წარმომადგენელი ნუგზარ ცერცვაძე.

გადაღების დროს აფხაზეთის რესპუბლიკის, ეგრეთ წოდებული, საბაჟო სამსახურის მუშაკები გამომწვევად იქცეოდნენ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს სამმხრივი ინსპექციის წევრებს საქართველოსაგან და ტელეჟურნალისტს. შეეცადნენ მისთვის წაერთმიათ კამერა. როცა საქმეში აფხაზეთის მხარის წარმომადგენელი ანზორ ხშირია ჩაერია, მას ჩამოართვეს მხოლოდ კასეტები, რომელთა დაბრუნებას შემოწმების შემდეგ დაპირდნენ.

ტყვეებს არ ათავისუფლებენ

გუდაუთაში მყოფმა სამხედრო ტყვეთა მშობლებმა და ახლობლებმა წერილით მიმართეს რუსეთის ფედერაციის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს სერგეი შოიგუს. წერილში ნათქვამია, რომ მათი შვილები, მამები და ძმები შინ უნდა დაბრუნებულიყვნენ სამხედრო ტყვეთა გაცვლის შესახებ გაცვლითი კომისიის სხდომაზე მიღწეულ მორიგებათა თანახმად 1993 წლის 17 აგვისტოს. მაგრამ 25 აგვისტოს ამ კომისიის აფხაზმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ტყვეებს გაათავისუფლებენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველო საბოლოოდ გაიყვანს ტექნიკას აფხაზეთის ტერიტორიიდან. წერილში ხაზგასმულია, რომ ამ საკითხებს ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა აქვს და დაბეჯითებით სთხოვენ შოიგუს ყოველნაირად შეუწყოს ხელი 1993 წლის 17 აგვისტოს აფხაზეთის მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

თენგიზ ჯიბუტი.

ამ დღეებში

გატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

გიორგი წერეთელი

ოდა ქუთაისს

ვუძღვნი ყველა ახალდაქორწინებულ ქუთაისელ წყვილს.
ავტორი.



მხრების ფრთებად გაშლა მინდა,
ის ცა ისე მედიდად...
არ ვშობილვართ აქ შლამიდან
აიად და მედიადა.

ეს მთა ცხრა ცით თავმორთული
ცის და მიწის დავით იშვა,
თვითონ ღმერთის ჩამოდგმული
აკვანია დავითისა.

ის მთა ოქროს მზითევიანი
ერის სულის საფარია,
ევრაზიის მითი არის,
ატლანტიდის ზღაპარია!..

რაც ცის არის, თავს აყრია,
რაც ღვთის არის, აქ მისია,
გულის ოქროს ჩარდახია,
სულის ოქროს საწმისია.

მისი ფასი შენამ იცის,
აქ დღედაღამ ზის მარიამ...
ქუთაისი დედამიწის
ახდენილი სიზმარია.

ქუთაისი ღვთის ნაძერწი
ტაძარია ბაგრატისა,
ანგელოზის ფრთით ნაწერ წიგნს
აქ ფურცლავდა მამა ღვთისა.

ჭირი ცოტა, ლხინი მეტი,
გზაა გულის გულთან მისვლის,
ჭირთან გაყრის ჭირიმეთი
შალვა მარჯის ქუთაისი.

ერთხელ გულში თუ ჩაგიკრა,
არ იქნება, არა გდიოს,
უცვამალლა ბაგრატის მთამ
აკაკის და გალაკტიონს.

ვინ თქვა, ჩვენს ღმერთს არ სცალია,
ვინ თქვა, ერის ჯანი მოკვდა?
ქუთაისი ნაკრძალია
ყველა დროის გენიოსთა.

აქ რა მოკლავს გულს თავისით,—
უკვდავების წყალი გვესხამს.
ახლაც ვხვდები ქუთაისში
სოლომონის ყალიბის კაცს.

სამოთხეა ქუთაისი
არა სულით ღარიბისა.
აქ ზღაპრული სუნთქვა ისმის
ცეცხლისმფრქვეველ ხარებისა.

თავზე ადგას ცა-მისნური
აიას თუ აისის ხატს,
აქ ქვაშიც დგას კაცის სული,
აქ ეკალიც ყვავილს ისხამს.

მსგავსი ჩვენი ქუთაისის
სხვაგან სად გააქვს მყარი მიწა.
ცოცხლობს მისით, სუნთქავს მისით
ვისაც მხარში მხარი მისცა.

არის ცხრა ცის კარის მცველი,
ყველა კარგი დაიმისა,
დედა რომს ნათლისმცემლის
მოქმედების ძალა მისცა.

კაცს თუ გინდა მოინათლო,
კმარა მისი ცვარის მოსმაც,
წყალტუბოს წყალს ღმერთი
ათბობს,
ღვთის აღდგომის ძალით მოსავს.

თუმც კვალი ჩანს ალქაჯეთის,
აქ ახლაც ქუხს ზალიბთა ხმა,
ხოდაბუნებს აქ გამჭდილ
ცეცხლისმფრქვეველ ხარითა ვხნავ.

სათაფლიას — ნათლისმცემელს,
რაც უნათლავს, აქედან ჩანს,
დიდ ღამეში აქ მზის მძებნელს
დინოზავრის კვალი დარჩა.

ქუთაისში ოდინდელი
ოდა არის გამჩარხული, —
სკოლას დიდი ჭყონდიდელის
ღვთივ დასმულის აჩნდა ხელი.

აქ ღვთიური მადლი ღვივის
ევროპიონ-აზიონის,
ძმათა შორის მანდილივით
ჩაუგდია მთას რიონი....

ამირანის ჯაჭვი გაცვდა
(თავს არვის წინ არ ვიხრიდით),
აქ ევროპა აზიასთან
გადაგვიბამს ჯაჭვის ხიდით.

გენები არ დაგვშრობია,
შუმი ერის შუქით ბრწყინავს...
ის მედეა აქ შობილა,
ვინც დედად ჰყავს მედიცინას.

ვხსნი უძველეს კარაბადინს,
შიგ ძევს ჩვენი უკვდავება,
ოქროს ვერძის ფარა დადის,
ერს მითითაც უნდა კვება.

რა სურს, ვინც შხამს ხარჯავს ამდენს,
რას მოიმკის, ვინც ეკალს თესავს?
ქვეყანა რომ გაჯანსაღდეს,
მე კვლავ ვეძებ ეკატეს ბაღს.

ქუთაისი ზენის მადლით
მზე დიადი არის ერთი,
მის ბულვარში დღესაც დადის
გენი ბრძენი აიეტის.

რაღა გვინდა ამის მეტი,
თუკი ჩვენთან არის ღმერთი,
აქ ცას უდგას ნათლის სვეტი
საძირკველის სხვა სიღრმეთი.

და დგას, ის რაც მაგრად იდგა:
მთაზე ჯიღა ბაგრატისა...
მანათლავს შუქი მე რიონის
და მზე უქიმერიონის.

და აქ ჩვენი სული რჩება,
რადგან უნდა გულს თავისი.
სიცოცხლეა,
არის შვება
ალერსი და სუნთქვა მისი,
უკან მიტომ გვეძახება
წასულ შვილებს ქუთაისი.

1993 წლის 27 აგვისტო

პარლამენტის სხდომის დღიური

უნაყოფოდ ჩავლილი სამუშაო დღე

27 აგვისტოს სხდომას დიდი მღელვარებით ელოდნენ არა მხოლოდ პარლამენტარები. მას ელოდა სრულიად საქართველო, რადგან საკითხი ეხება ქვეყნის ცხოვრების უმთავრეს პრობლემას — აღმასრულებელი ხელისუფლების —მინისტრთა კაბინეტის ფორმირებას. მაგრამ ვიდრე პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე სხდომას დღის წესრიგის დამტკიცებას შესთავაზებდა (ეს უჩვეულო მოვლენა არ არის ჩვენი პარლამენტის ცხოვრებაში), სიტყვა განცხადებისათვის ითხოვა თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ. მან წაიკითხა ახლახან პრესაში გამოქვეყნებული მიმართვა გაეროს გენერალური მდივნისადმი ბზიფის ხეობაში მცხოვრები 300 ქართველი ეროვნების მოსახლის დეპორტაციისა და მათ მიმართ გამოყენებული ძალადობის შესახებ. ამ მიმართვას პარლამენტის წევრთა დიდმა ნაწილმა მოაწერა ხელი და ბატონმა ნოდარ ნათაძემ პარლამენტის სხდომაზე მიმართვის ოფიციალური დამტკიცება მოითხოვა. გუდაუთის მხარესთან ერთად დოკუმენტში სერიოზული ბრალდებები აქვს წაყენებული რუსეთსაც, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში შუამავლის როლს ასრულებს და, პარლამენტარის აზრით, თვალს ხუჭავს ამგვარ ქმედებაზე.

ამ მიმართვის ოფიციალური დამტკიცების პროცედურას გაგრძელება არ მოჰყოლია. პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, ამ საკითხის გამო თქვა: ვიდრე პარლამენტარები რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებენ, კარგად უნდა დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამგვარი მიმართვის გაგზავნას გაეროში. თუ ჩვენ ვთვლით, რომ რუსეთი ჩვენთან ერთად რეალურად მუშაობს აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად, მშვიდობის დასამყარებლად, და ეს ნამდვილად ასეა, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ, — მაშინ ასეთი სრული უნდობლობა არ უნდა გამოვუცხადოთ მას. სხვა ლოგიკა არ არსებობს: ან ვთანამშრომლობთ რუსეთთან, თუ არა და, გადავწყვიტოთ, რა გზას დავადგეთ.

რაც შეეხება გაეროს სამშვიდობო ძალების შემოყვანას, ეს დღეს და ხვალ ვერ გადაწყდება. ჩემი თხოვნით ადგილზე ვითარების შესასწავლად ჩამოვიდა გენერალური მდივნის კიდევ ერთი პირადი წარმომადგენელი. მე მას დაბეჯითებით ვთხოვე, რომ საკითხი არავითარ შემთხვევაში არ გადაიდოს და ჩქარა გადაწყდეს, თუნდაც სამშვიდობო ბატალიონის გამოგზავნა. მაგრამ, ჯერჯერობით ამის რეალური გარანტია არ არსებობს. მადლობა ღმერთს, ჩვენი თხოვნა გაითვალისწინეს და მეთვალყურეთა რაოდენობა 50 კაციდან 90-მდე გაიზარდა. ეს საკმაოდ მძლავრი რაზმია თავისი ინსპექციებით. მაგრამ მეთვალყურეთა ფუნქცია არ არის ჯარების დაშორიშორება, შეტაკებათა აღკვეთა. მინდა იცოდეთ,—თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, — რომ ვერც მეთვალყურეთა, ვერც სამშვიდობო ძალების გამოგზავნაზე გაერო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ იგი ტორპედირებული იქნება რუსეთის დელეგაციის მიერ. ამიტომ ასეთი მიმართვით ჩვენ ვირჩევთ ომის და არა მშვიდობის გზას. მშვიდობის გზა კი, რომელსაც ჩვენ დავადექით, ეკლიანია, რთულია, მაგრამ ერთადერთი მისაღები გზაა.

დიდი კამათის შემდეგ დღის წესრიგი დაამტკიცეს ისე, როგორც იყო წარმოდგენილი. ინფორმაციით პირველ ორ საკითხზე გამოვიდა პარლამენტარი დავით კუპრეიშვილი, რომელმაც წარმოადგინა შესაბამისი კანონპროექტები ამ ცვლილებების გათვალისწინებით.

საკითხების განხილვა გამწვავდა, სახელმწიფოს მეთაურს კვლავ მოუხდა გამოსვლა.

„შესვენების შემდეგ დაძაბულობა და ნერვული ატმოსფერო უფრო და უფრო გამოიკვეთა. ამიტომ, ასეთ ვითარებაში, პარლამენტარებმა სხდომის გაგრძელება მიზანშეუწონლად ჩათვალეს. წარმოდგენილი წინადადებები — კანონპროექტებში ცვლილებების შესახებ კენჭისყრით არ იქნა მიღებული.

სხდომა მუშაობას კვირას, 29 აგვისტოს განაახლებს.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

დასავლეთის პრესის მიმოხილვა

„რომ არა შევარდნაძის პიროვნება“...

მეორე სომალი?

გაზეთ „ცორიპიენში“ (12-15 აგვისტოს ნომერი) გამოქვეყნებულია სტატია: „საქართველო — კვლავ სომალი?“ აღნიშნულია, რომ საქართველო ისე სწრაფად მიექანება ანარქიისაკენ, რომ ხალხს უკვე ეშინია ქუჩებში გამოსვლა და სახლის კარის გაღება. დასავლეთელი დიპლომატების მიხედვით განუკითხაობა და უკანონობა ქმნის საქართველოს „მეორე სომალად“ გადაქცევის საშიშროებას.

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის კონფიდენციალურ წყაროებზე დაყრდნობით გაზეთი მიუთითებს, რომ საქართველო „ყველაზე უფრო არასტაბილური და საშიშათო ქვეყანაა ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში“, აღწერილია აფხაზეთში და ყოფილ სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობა, ასევე თბილისის კრიმინოგენური ვითარება.

გაზეთი აკეთებს მეტად საყურადღებო დასკვნას: „რომ არა შევარდნაძის პიროვნება და მისი ავტორიტეტი, საქართველოს უკვე დაკარგული ექნებოდა სახელმწიფოს ავტორიტეტი“.

აშშ-ს ხელისუფლების თანამშრომლის მკვლელობასთან დაკავშირებით გაზეთს მოჰყავს „ერთ-ერთი არსებული ვერსია“ იმის თაობაზე, რომ ეს ფაქტი შეიძლება გამოვლინება იყოს რუსეთის უკმაყოფილებისა ე. შევარდნაძის პოლიტიკის მიმართ, „რომელსაც ვაშინგტონი თავის ახლო მოკავშირედ მიიჩნევს“.

ევროპული პრესა კვლავ აგრძელებს მასალების გამოქვეყნებას აფხაზეთის შესახებ. ბელგიური „ვერ ლავენირი“, ახასიათებდა რა აფხაზეთში ომის გამომწვევ მიზეზებს, აღნიშნავდა, რომ აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე რუსეთმა აქ გადმოსვა თავისი ბატალიონები იმ მოტივით, რომ „დაეცვათ რუსი მოქალაქეები“. ამავე დროს მათ საქართველოში 1995 წლამდე ოფიციალურად ჰყავთ 20 000 ჯარისკაცი, რომლებსაც შეეძლოთ კანონიერად მოქმედება:

„პრეზიდენტი ბ. ელცინი იმუქრებოდა კიდეც, რომ ისინი ერთი რუსი ჯარისკაცის მოკვლაზე ათით უპასუხებდნენ“, ხოლო თავდაცვის მინისტრმა პ. გრაჩოვმა ოფიციალურად განაცხადა იმის შესახებ, რომ „რუსეთი უარს ვერ იტყოდა აფხაზეთზე, რადგან მისთვის იგი სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონს წარმოადგენს შავ ზღვაზე“. „ამის შემდეგ სოხუმის ცაზე მალე გამოჩნდა აფხაზეთის ავიაცია“, აფხაზებს არ აკლდათ არც ტექნიკა, არც ტყვიაწამალი და ბენზინი... ბ-ნი ე. შევარდნაძე ჟურნალისტების წინაშე აღნიშნავდა, რომ მას არ ჰქონდა მოკავშირეების არჩევის საშუალება, ამიტომ იგი იძულებული იყო მიეღო კომპრომისული სამხედრო-პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელმაც ოპოზიციის უკმაყოფილება გამოიწვია.

10 აგვისტოს ფრანგულმა „ფიგარომ“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „საქართველო სამოქალაქო ომის პირას“, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ეროვნული ოპოზიციის წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით კი თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თ. კიტოვანმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სოჭის შეთანხმებას „კაპიტულაცია“ უწოდეს.

17 აგვისტოს „ლოს ანჯელეს ტაიმსში“ გამოქვეყნებულია ვრცელი მასალა დავით გარეჯის მონასტრის შესახებ. სტატიაში აღწერილია, თუ რა პერიპეტიები გადახდა მონასტერს რუსული ჯარის ნაწილის ამ რაიონში ყოფნის დროს. მოთხრობილია ასევე, თუ რა დიდ ფინანსურ სირთულეებს აწყდება დღეს საქართველოს ხელისუფლება ამ ისტორიული ძეგლის აღდგენის საქმეში. „როდესაც რუსები აქედან გადიოდნენ, ისინი დაგვცინოდნენ: ნუთუ თქვენ გჯერათ, რომ შეძლებთ ყოველივე ამის გადარჩენას? სამწუხაროდ მათი სიტყვები მართლდება — ამბობს ხელოვნებათმცოდნე თ. აბრამიშვილი — ალბათ ამას მართლაც ვეღარ შევძლებთ“.

„მოსკოვის უხილავი ხელი“

ამერიკული ჟურნალი „ტაიმი“ თავის 23 აგვისტოს ნომერში სხვა მოკლე საინფორმაციო ცნობებთან ერთად აქვეყნებს ინფორმაციას სათაურით „მოსკოვის უხილავი ხელი“, რომელშიც ვაშინგტონიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე აღნიშნავს, რომ „მოსკოვი ოფიციალურად ამტკიცებს სამოქალაქო ომში ჩაურევლობას, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს. ამავე დროს, როგორც ამერიკულმა და საქართველოს დაზვერვის წყაროებმა უთხრეს „ტაიმს“ რედაქციას, რუსეთის არმია სისტემატურად აწვდიდა შეიარაღებას, დეტალურ სადაზვერვო ინფორმაციას და უშუალოდ სამხედრო ოპერაციების ჩატარებაში დახმარებას უწევდა აფხაზ სეპარატისტებს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„რუსეთის სამხედრო დაზვერვის ოფიცრები ხვდებიან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის ოპონენტებს, განიხილავენ სექტემბერში მის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციის ორგანიზების საკითხს“ — აღნიშნულია ინფორმაციაში.

ევროგაერთიანებასთან საქართველოს დიპლომატიური მისიის პრეს-სამსახური, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა გაეროში — სპეციალურად საქინფორმისათვის.

ნომერში

⊙ საბაჟო ამბობს ერთს, მესაზღვრეები — სულ სხვას 2
⊙ ფაუსტი, ოთხი ქალი და ერის დამღუპველი ფაქტორი 3

დააკმაყოფილეს მისიის თხოვნა

რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ მიიღო საერთაშორისო წითელი ჯვრის ხელმძღვანელი მიშელ მაიერი, რომელიც კოორდინაციას უწევს ამიერკავკასიაში ამ ორგანიზაციის ფილიალების საქმიანობას. მისიის შტაბბინა თბილისშია.

მისიის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სექტემბრის დამლევს ჟენევაში გაიხსნება კონფერენცია თემაზე: „დახმარება ომის მსხვერპლთ“ და აღნიშნა, რომ საქართველოსათვის დადებითი მნიშვნელობა ექნება ამ შეხვედრაში მისი საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის მონაწილეობას.

ბატონმა ჩიკვაიძემ მადლობა მოახსენა და გამოთქვა იმედი, რომ წითელი ჯვრის მუშაობა საქართველოში გაგრძელდება და თანამშრომლობა შემდგომში უფრო ინტენსიური გახდება.

მინისტრმა მისიის ხელმძღვანელს აცნობა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დააკმაყოფილა მისიის თხოვნა მისი უცხოელი თანამშრომლებისათვის დიპლომატიური სტატუსის მინიჭების შესახებ.

ამერიკელ ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში

საქართველოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, გაეროს სამშვიდობო ინიციატივათა განხორციელების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელმა გაეროში, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში პეტრე ჩხეიძემ ინტერვიუ მისცა ამერიკულ გაზეთებს „ვაშინგტონ ტაიმსს“, „ბოსტონგლობს“, რადიოსადგურების ბი-ბი-სის, „სვობოდას“, „გაეროს“ „რადიო-ევროპისათვის“ კორესპონდენტებს.

ელჩი შეეხო გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიმდინარე წლის 24 აგვისტოს მიღებულ მორიგ რეზოლუციას, რომელიც საქართველოში მშვიდობის დამყარებისათვის გაეროს მონაწილეობის მნიშვნელოვან გაფართოებას ითვალისწინებს. ისეთ პირობებში, როდესაც სამშვიდობო ოპერაციების დაფინანსება სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდება, 88 მეთვალყურის და ოთხასამდე ტექნიკური პერსონალის განლაგება კონფლიქტის ზონაში იმის დასტურია, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებში ღრმად აანალიზებენ ჩვენში მიმდინარე პროცესებს, სათანადო შეფასება ეძლევა პრობლემას, რომელიც შეიძლება რეგიონული მასშტაბის საფრთხედ იქცეს.

შეკითხვები შეეხო „შევარდნაძის ფაქტორს“ საქართველოსათვის და ამ ფაქტორის გავლენას გაეროს გადაწყვეტილებებზე თუ მსოფლიოს ავტორიტეტიანი ქვეყნების საქართველოსადმი დამოკიდებულებაზე. ამასთან დაკავშირებით ბატონმა პეტრე ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ნებისმიერი ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელის პიროვნებას. ამ შემთხვევაში კი შეუძლებელია ორი აზრი არსებობდეს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს ინტერესებს მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსის ხელმძღვანელობა. რაც შეეხება მისი წინადადებების და შეხედულებების გაზიარებას მსოფლიოს პროგრესული ქვეყნების პოლიტიკური ხელმძღვანელებისა და გაერთიანებების მიერ, ეს გამომდინარეობს არა მისი, როგორც პიროვნების პოპულარობიდან, არამედ იმ პოზიციიდან, რომელიც ესადაგება მსოფლიო პოლიტიკის პროგრესულ პრინციპებს. თავის მხრივ სწორედ ამ პოზიციამ განაპირობა მისი პიროვნების პოპულარობა. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საქართველოს სახელმწიფოებრიობა დიდად საჭიროებს მსოფლიოს ქვეყნების თანადგომას, ნებისმიერი პიროვნების თუ პიროვნებათა ჯგუფის როლიც ამ თანადგომის მოზიდვის საქმეში, სწორედ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური, პირად მოსაზრებებზე აგებული პოზიციით.

საქართველოში არსებულ შინაპოლიტიკურ დაჯგუფებათა დაპირისპირებისა და ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებელ შეიარაღებულ ფორმირებათა არსებობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე ბატონმა პეტრე ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ჯანსაღი პოლიტიკური კამათი, რომელიც ყველა პროგრესული ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი, მხოლოდ დადებით ფაქტორად უნდა განვიხილოთ, რაც შეეხება ე. წ. შეურიგებელ შეიარაღებული თუ შეუიარაღებელი ძალების დაპირისპირებას ხელისუფლებისადმი, ეს დაძლეული უნდა იქნეს პოლიტიკური მეთოდებით. ხელისუფლება სწორედ ამ მეთოდს მიმართავს და პოზიტიური შედეგებიც სახეზეა. დღეისათვის საქართველოს წინაშე მდგომი სერიოზული პრობლემები გამაერთიანებელ ფაქტორად მოქმედებს, ხოლო ვინც ამას არ გაიზიარებს, იგი უცილობლად აღმოჩნდება ქვეყნის ინტერესების მოწინააღმდეგეთა იმ ჯგუფში, რომელსაც, ცხადია, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს.

საქართველოს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობა გაეროში სპეციალურად საქინფორმისათვის.

ნიუ-იორკი, 25.08.93 წ.

სომხეთი გახდა თურქმენეთის გაზის პირველი მყიდველი და მასში ძვირფასი ლითონები და ქვები გადაიხადა

როგორც 24 აგვისტოს სააგენტო „პოსტფაქტუმის“ კორესპონდენტს თურქმენეთის ვიცე-პრემიერმა ვალერი ოტჩერცოვმა აცნობა, სომხეთის სამთავრობო დელეგაციამ აშგაბატში ჩაიტანა 8 მილიარდი მანეთის საიუველირო ნაწარმი, ძვირფასი ქვები და ლითონები. ვ. ოტჩერცოვის სიტყვებით, ეს არის თურქმენეთის გაზის იმპორტის საზღაური მიმდინარე წლის დამლევამდე.

თურქმენეთის მთავრობამ 16 აგვისტოს მიიღო გადაწყვეტილება, რომ თურქმენეთის გაზის მომხმარებლები ვალდებული არიან ამა წლის 1 ოქტომბრიდან გაზის ღირებულება გადაიხადონ მსოფლიო ფასების მიხედვით, კონვერტირებული ვალუტით ან ძვირფასი ლითონებითა და ქვებით. ამავე დროს, ეს წესი არ გავრცელდა საქართველოზე, რომლის ლიდერი ედუარდ შევარდნაძე 17 აგვისტოს შეუთანხმდა საფარმურად ნიაზოვს, რომ გაზის შემდგომი ანაზღაურება მოხდება კლირინგით.

აბჯარი
საქართველოს რესპუბლიკა
საქართველოს თავდაცვის ფონდი
GEORGIA DEFENCE FUND
№25

სამადლობელი

სარედაქციო ფოსტა მოგვითხრობს

ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო, — თანადგომის პრინციპი ასეა ფორმულირებული ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში და, მადლობა ღმერთს, ქართველს ამ პრინციპისთვის მაინც არასდროს უღალატია.

არც „შავი“ დღეები გვაქვს თითზე ჩამოსათვლელი და არც თანამდგომთა არმიაა მცირერიცხოვანი.

თავდაცვის ფონდის გარდა, რედაქციას მკითხველებიც სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას იმ პირთა და ორგანიზაციათა შესახებ, რომლებმაც სამშობლოს ძლიერებისათვის წვლილი გაიღეს.

საერთაშორისო საზოგადოება „ფიროსმანის მეგობრების“ (პრეზიდენტი ვასილ მჭედლიშვილი) საინტერესო საქმიანობის მუდმივი თანამგზავრია ქველმოქმედება. ახლახან საზოგადოებამ თავდაცვის ფონდში 350 ათასი კუპონი გადარიცხა, — გვატყობინებს თბილისელი ლ. სანდომისაშვილი.

77 წლის ვასილ გელაშვილმა ჩუღურეთის რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილებას მიმართა თხოვნით, რომ მისი ერთი თვის პენსიის დანამატი — 1150 კუპონი თავდაცვის ფონდში გადაერიცხათ. წერილში კი, რომელიც რედაქციას გამოუგზავნა, სამშობლოს კეთილდღეობის ყველა მოსურნეს არა მარტო მატერიალური თანადგომის, არამედ კეთილსინდისიერი, თავდაუზოგავი შრომისაკენ მოუწოდებს.

აი, რას გვწერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური კორესპონდენტი გურამ ვაშაკიძე.

„გორის ბამბეულის ქსოვილების საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანების, ფეიქართა და ტექნიკოსთა სასახლის მესვეურთა ინიციატივით გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი. მის ორგანიზატორებს აფხაზეთში მებრძოლთა დასახმარებლად მაყურებლებმა გადასცეს 840 ათასი კუპონი, ქალაქის სახანძრო დაცვის კოლექტივმა 100 ათასი კუპონი, ბამბეულის ქსოვილების გაერთიანების მე-2 საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა — 286 ათასი კუპონი, გორელმა მოქალაქეებმა ვახტანგ ყანჩაველმა, მერაბ ნიჟარაძემ და ზურაბ კაჭკაჭიშვილმა — თითოეულმა 50 ათასი კუპონი, მიშიკო კოშკაძემ 50 თბილი მაისური მიიტანა, სხვა მაყურებლებმა კი პირველი მოხმარების საგნები, სურსათ-სანოვაგე, მედიკამენტები, შესახვევი მასალა“.

ჩვენი აზრით, ცეცხლის შეწყვეტამდე რედაქციაში შემოსულ ამ ინფორმაციას დრო ვერ აუფერულებს, რადგან გორელები თბილისის საავადმყოფოებში მოთავსებულ ომით დაღდასმულ ადამიანებს სითბოსა და მზრუნველობას ახლაც არ აკლებენ.

ბიჭვინთელ ცირა ბეჟანიშვილს აფხაზმა სეპარატისტებმა მშობლებიც დაუხვრიტეს და მეუღლეც. სამი შვილის დედამ იარაღს მოჰკიდა ხელი და ამბობენ სამიზნესთვის ერთხელაც არ აუცდენიაო. დედას 19 წლის ქალიშვილიც ამოუდგა მხარში, ორივე თავდაუზოგავად იბრძოდა სამშობლოს ერთიანობისთვის. სნაიპერი ქალი გუმისთასთან ბრძოლების დროს აფხაზებმა ტყვედ ჩაიგდეს. ორთვენახევრის ტყვეობის შემდეგ კვლავ ფრონტს მიაშურა, მაგრამ დაიჭრა. ახლა მას თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში მკურნალობენ.

ეს ინფორმაცია ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ზინაიდა კვაჭაძემ ახალ ჰუმანურ აქციას დაუდო საფუძვლად. საავადმყოფოებში დაჭრილ ქალთა მონახულება, მათთან პირველი მოხმარების საგნების, კვების პროდუქტების მიტანა არა მარტო საბჭოს წევრთა, არამედ იმ კოლექტივების ქალთა საზრუნავად იქცა, სადაც ისინი მუშაობენ. რესპუბლიკის პროკურატურაში ამ აქციას ხელმძღვანელობს სამოქალაქო და საარბიტრაჟო საქმეების სამმართველოს უფროსი მანანა ქურდაძე, ცეკავშირში — პროფკომიტეტის თავმჯდომარე ნათელა ყურაშვილი, ტურიზმის სამინისტროში — სამმართველოს უფროსი მანანა დევაძე, საიუველირო ფაბრიკაში — ლაბორატორიის უფროსი ლალი დაუშვილი, თბილისის ბავშვთა უნივერმაღში — დირექტორის მოადგილე ლია მაჩაიძე, მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდში — მერი ქილაშვილი.

„აფხაზეთში მებრძოლი და მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვის დროს დაჭრილმა ქალებმა (ქართველებმა, აფხაზებმა, რუსებმა, სომხებმა) რომელთაც რესპუბლიკურ, ქალაქის № 1 და მეოთხე კლინიკურ საავადმყოფოში, ნევროლოგიის ინსტიტუტსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში მედიკოსთა ყურადღება არ აკლიათ, თბილისელი ქალების სითბო და მზრუნველობაც იგრძნეს“. აღნიშნავს თავის წერილში კ.ლელაძე.

გულრიფშელი თამრიკო ცანავა პროფესიული ოსტატობისა და გულისხმიერებისათვის მადლობას უხდის თბილისის კანისა და ვენეროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექიმებს მარინე მხეიძეს, რაია მამარდაშვილს, ტატიანა კარაპეტოვას, მედდებს მარგო გავნიძეს, ჯულიეტა ირემაძეს და სხვებს. „ჩემი უმცროსი ძმა, რომელიც აფხაზეთში ერთ-ერთ ბატალიონს მეთაურობდა, მძიმედ დაიჭრა. ამ ფსიქიკურმა ტრავმამ კანი დამიზიანა და მეგონა ნაცნობ-მეგობრებთან შეხვედრაზე სამუდამოდ უარს ვიტყოდი. მაგრამ პროფესიონალთა წყალობით უწინდელი გარეგნობა დამიბრუნდაო“ — სიხარულით აღნიშნავს წერილის ავტორი.

კინოსტუდია „მემატიანეს“ რეჟისორმა, თეატრალური ინსტიტუტის კინომცოდნეობის ფაკულტეტის მეოთხეკურსელმა გულიკო გოდოლაძემ პროფესიული დაოსტატებისათვის პირველი გაბედული ნაბიჯები აფხაზეთში გადადგა, მაგრამ დებიუტი საბედისწერო აღმოჩნდა, სოხუმის დაბომბვის დროს დაიღუპა და ბევრი რამ დარჩა უთქმელი. თუმცა ლექსებსა და ჩანახატებს (ჩუმად და უპრეტენზიოდ რომ წერდა) ანდობდა თავის ტკივილსაც და სიხარულსაც, რომან ამირეჯიბი დასაბეჭდად გვთავაზობს ამ ლირიულ სტრიქონებს, რასაც სამწუხაროდ, გაზეთის აქტუალური მასალებით გადატვირთვის გამო ვერ ვაქვეყნებთ, მაგრამ ერთ-ერთ უსათაურო მოთხრობაში გულიკოს დასმულ კითხვას — „მითხარი, ვინ ან რა ვარ ახლა მე?!“, გვინდა ვუპასუხოთ — თქვენ ახლა გმირები ხართ და დავიწყება არ გიწერიათ. დიახ, ცეცხლი შეწყდა, მაგრამ ამ ცეცხლით დაფერფლილ სახეებს სულის წიაღიდან დრო ვერ წაშლის.

გარდასულ დღეთა გახსენება, ტკივილი და სევდა. თანადგომა და მომავლის რწმენა. აი, ძირითადი თემა იმ წერილებისა, რაც ყოველდღიურად ავსებს ჩვენს სარედაქციო ფოსტას.

ლეილა კოშკაძე.



პირველ ეროვნულ სასწავლებელში — კადეტთა კორპუსში (რექტორი, პოლკოვნიკი დავით მამისარაშვილი) გამოცდები დასასრულს უახლოვდება. 400 ჭაბუკიდან 100 რჩეულს პირველ სექტემბერს კადეტის სახელი, ხოლო ოთხი წლის შემდეგ სამხედრო თარჯიმნის კვალიფიკაცია მიენიჭება.

სურათებზე: მომავალი კადეტები გამოცდებზე.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

როდის იცრუეს ბიჭებმა?..

„აბჯრის“ 21-ე ნომერში დაიბეჭდა რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების მთავარი სამმართველოს საზღვრის დაცვის განყოფილების წერილი „რაღა ქნას უიარაღო მესაზღვრემ?“. მესაზღვრეები, დარიალის ხეობაში რუსეთ-საქართველოს საზღვრის ყაზბეგის მონაკვეთს რომ აკონტროლებენ, რაიონის გამგებელს უჩიოდნენ. წერდნენ: გამგეობა და მისი თავმჯდომარე არა თუ გვეხმარებიან, პირიქით, ბევრ რამეში ხელსაც გვიშლიანო. წერილში სხვა, უფრო მძიმე ბრალდებაზეც იყო საუბარი.

პუბლიკაციას ყაზბეგის გამგეობის მხრიდან გამოხმაურება მოჰყვა. გამგებელი ლევან ელოშვილი და მისი მოადგილე გივი წიკლაური რედაქციაში გვესტუმრნენ. თავის მართლება არ დაუწყიათ, მხოლოდ ეს გვითხრეს — ჩამოდით ყაზბეგში, თქვენი თვალით ნახეთ მესაზღვრეები, წერილში მოყვანილ ფაქტებზეც გაიკითხ-გამოიკითხეთ და დასკვნაც თქვენ გააკეთეთო.

ასეც მოვიქეცით. მე და ჩემი კოლეგები ტელევიზიიდან, მეორე დღესვე ყაზბეგს გავემგზავრეთ.

სასაზღვრო-საკონტროლო გამშვები პუნქტი საბაჟოს გვერდით მოქმედებს. იმ დღეს ორი ზემდეგი და სამი წვევამდელი ორად-ორი ავტომატით იცავდა საზღვარს.

— ეს არის სასაზღვრო ჯარი? — ვიკითხეთ გაოცებულებმა.

— ჩვენ ვართ, — გვითხრეს ბიჭებმა. არც ჩაცმით და არც წესრიგით შარაზე გაფანტულ ბიჭებს სამხედრო სამსახურში ყოფნისა არაფერი ეტყობოდათ. ერთს ფორმის ზედა ეცვა, მეორეს შარვალი, ფეხიც ნაჭრის ფეხსაცმელებში წაეყოთ.

„აბჯარში“ დაბეჭდილი წერილის თაობაზე ვკითხეთ, მხრები აიჩეჩეს — არაფერი ვიცითო. რაიონის გამგებელი თუ გიშლით მუშაობაში ხელს? — ამგვარი არაფერი გვიგრძნია, პირიქით, კეთილგანწყობით მოგვიკითხავს ხოლმეო. უფროსი მოვიძიეთ. გოგი ბურდული იყო, გაათავისუფლეს. ახლა დროებით გოგი ხუციშვილი ასრულებს მის მოვალეობას, ზემოთ ყაზარმაში ნახავთო. ვნახეთ. გაზეთში დაბეჭდილი წერილის თაობაზე არც იმან იცოდა რამე. გამგებელი მადლიერებით მოიხსენია, ხელს გვიშლის კი არა, რაც შეუძლია, გვეხმარება. ამ შენობას რომ უყურებთ, დროებით სარგებლობისთვის პირადად მან გადმოგვეცა. გამგეობის გადაწყვეტილებით ბალანსიდან ბალანსზე კი ორსართულიანი საცხოვრებელი შენობა (ყაზარმა) გადმოგვეცა, შესაკეთებელია და სამშენებლო მასალებსაც დაგვპირდა. რაც შეეხება კონფლიქტს სასაზღვრო ჯარსა და გამგებელს შორის, ამგვარი არაფერი მახსოვს, უბრალოდ, ჩვენი საგუშაგო ცოტა ქვემოთ იდგა, ნეიტრალურ ზონასთან, გამგებელი კი საბაჟოს გვერდით რომ ამოვსულიყავით, ამას მოითხოვდაო.

ვინც საზღვარგარეთ თუნდაც ერთხელ მაინც ყოფილა, ეხსომება, რომ მესაზღვრეები და მებაჟეები გვერდი-გვერდ დგანან. ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოთა საზღვრებზე ისინი ერთად მოქმედებენ. ესეც რომ არ იყოს, საბაჟო-საგუშაგოს უფროსმა რომან მარსაგიშვილმა გვითხრა: საბაჟოს გავლის შემდეგ მეზობელ სახელმწიფოს საზღვრამდე ვაკუუმი უნდა იყოს, აქედან გასულ კაცს მაკონტროლებელი აღარავინ უნდა შეხვდესო. გამგებელი კი თავის დაჟინებულ მოთხოვნას, რომ ადგილი შეეცვალა სასაზღვრო ჯარს, ასე ხსნის: რომელი მხედრული წესით გაწვრთნილი ჯარი მესაზღვრეებს ჰყავთ, რომ ისეთი ფაქიზი პროცედურა, როგორიც საპასპორტო რეჟიმის შემოწმებაა უხინჯოდ ჩაატარონ. არადა, ოდნავ უტაქტობასა და დარღვევას შეუძლია სიტუაცია დაძაბოს ყაზბეგის რაიონსა და ოსეთს შორის, რომელიც დღემდე კეთილმეზობლობას ემყარებაო.

გამგებლის ამ პრინციპულობამ ხომ არ გააგულისა სასაზღვრო ჯარის ოფიცრები და რედაქციაში გამოგზავნილ წერილს მერე სხვა საფანელი დაუდეს?

არ ვიცი, მტკიცებას ვერ დავიწყებ, მაგრამ ის, რაც ზემოთ ხსენებულ წერილში ბატონ ლევანზე თქვეს, ვერ დავამტკიცეთ. კერძოდ: თითქოს ნასვამმა ლევან ელოშვილმა მესაზღვრე ოფიცერ სალიას სომხეთის საზღვრამდე სომეხი ეროვნების პირების გაცილება მოსთხოვა. როცა მისგანაც და რიგითებისგანაც (ალიბეგაშვილი, ბუჩუკური, ტუჩაშვილი) უარი მიუღია, განრისხებულა და ხუთი წუთის განმავლობაში უცენზურო სიტყვებით ულანძღავს ოფიცერი კ.სალია.

რედაქციაში გამოგზავნილ საჩივარს კ.სალიას პატაკი და რიგითების ბუჩუკურისა და ტუჩაშვილის ახსნა-განმარტებითი ბარათებიც ახლდა (რატომღაც ალიბეგაშვილისა არა. როგორც მან გვითხრა: ამგვარი ფაქტი მისი თანდასწრებით არ მომხდარა და საიდან დავწერდიო).

სალია და რიგითები მოვიკითხეთ, სალია ჩვენთან აღარ მუშაობს აფხაზეთშიაო გვითხრეს. ბუჩუკურმა და ტუჩაშვილმა კი თავჩაღუნულებმა გვითხრეს: ჩვენი ცვლა იყო, გამგებელიც მოვიდა, მაგრამ ამგვარი არაფერი გვინახავს და მოგვისმენია, ყაზარმაში გაგვაგზავნეს იარაღის წასაღებად. მეორე დღეს გვითხრეს: გამგებელმა სალიას აგინა და წერილობით უნდა დაგვიდასტუროთო. რა გვექნა, რიგითმა უფროსის ბრძანება ხომ უნდა შეასრულოს?

საინტერესოა, როდის იცრუეს ბიჭებმა, მაშინ თუ ახლა? ეს იმათ სინდისზე იყოს.

რაც შეეხება წერილში მოხსენიებულ 18 ავტომატს, რომელიც თურმე ლევან ელოშვილს მის მიერ შექმნილ და მერე გაუქმებული ადგილობრივი გვარდიის წევრებისთვის ჰქონდა გაფორმებული, თვრამეტივე გამგებელთან ინახებოდა და ჩვენი იქ ყოფნისას გადაწყდა: თავდაცვის სამინისტროს სათანადო წერილის საფუძველზე სამხედრო პოლიციას გადასცემოდა.

რაიონის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსმა პავლე ცაძიკიძემ მესაზღვრეების მიერ წერილში დამოწმებული მისი სიტყვები — გამგებლის შექმნილი გვარდია, მართალია, გაუქმებულია, მაგრამ თავის არაფორმალურ სტატუსს წინანდებურად ინარჩუნებსო — უარყო, ამგვარ რამეს როგორ ვიტყოდი, როცა ასე არ არისო.

ბოლოს ბატონ ლევანს, წერილში მოყვანილ მის განცხადებაზე: გამგებელიც რომ არ ვიყო, რაიონს კონტროლს მაინც გავუწევო, — განმარტება ვთხოვეთ.

— მე ყოველთვის ამას ვამბობ და ახლაც ვიტყვი. მიყვარს ჩემი ხევი, ჩემი მოხევეები. არა აქვს მნიშვნელობა, ვიქნები გამგებელი თუ არა, რომც არ ვიყო, ყოველთვის მისი კეთილდღეობისთვის ვიბრძოლებ, არავის მივცემ უფლებას პირადი ინტერესებისა თუ გამორჩენის მიზნით სიტუაცია დაძაბოს როგორც რაიონში, ისე მეზობელ სახელმწიფოსთან, მაგრამ ვიბრძოლებ არა იარაღით, არამედ კანონით.

იარაღი რომ გამგებლის მეგობარი არ არის, ამაში დარწმუნება იოლია. იგი არც ქამარში პისტოლეტგაჩრილი დადის (რაც დღეს იშვიათობაა) და არც თვალებბრიალა დაცვის თანხლებით.

ჩემს ხალხში არცერთი არ მჭირდება, საშიში ხევში არა მაქვს რაო.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

ყაზბეგი-თბილისი

ფრონტული ჩანაწერები

«კარვოსანთა» სულისკვეთება

გუმისთის საბრძოლო პოზიციებიდან უკან ვბრუნდებოდით, ჩვენმა გამცილებელმა თემურ ნაჭყებიამ გზად მომავალ ასაკოვან ქალბატონს მანქანა შეუჩერა და თან წამოიყვანა. გზაზე მეგობრულად მოიკითხეს ერთმანეთი, მერე რაღაცა ჩემს შესახებაც ითქვა. ამის შემდეგ უცნობმა ქალბატონმა არაბუნებრივი ემოციურობით მომმართა: ვაი, შენ გენაცვალე, შვილო, როგორ გამახარე [illegible]. — ყალბი პათეტიკით ისევ თანამოსაუბრეს მიუბრუნდა: — აქამდე რავა არ მითხარი, ეს ახალგაზრდა ჩვენი გაზეთიდან თუ იყო?

შენ გაიხარე შვილო და შენმა რედაქტორმა იცოცხლოს ჩვენდა საიმედოდ. თქვენი გაზეთის მეტს ჩვენ გაზეთს არ ვკითხულობთ. არა, ამ პუტჩისტებისაც კი გვაინტერესებს, მარა, მაგათ გაზეთს რავა გავუსაღებ. თქვენი გაზეთის თითო-ოროლა ცალი ჩამოაქვთ ხელზე ჩვენს ხალხს. ერთი ადგილი გვაქვს დათქმული, იქ ვიკრიბებით და ვკითხულობთ. ვაი, რავა ვკითხულობთ, რომ იცოდეთ. მე, მაგალითად, გაზეთი მქონდეს და არც ჭამა მინდა და არც სმა.

ჩვენი ბელადი გვიმყოფოს ღმერთმა კარგად, თორემ, ამათი ქვეყანა რომ ემხობა, კი ვხედავთ. ჩვენ კომუნისტური პარტიის რეაბილიტაციას არ შევეგუებით! ყოველგვარი პარიტეტი უნდა აღიკვეთოს! არავითარი ალიანსი მათთან.

უცნობი ქალბატონი მანქანაში უკანა სავარძელზე იჯდა და ლოზუნგებს იმდენად სხაპასხუპით აფრქვევდა, ეჭვი შემეპარა, ხომ არ კითხულობს-მეთქი? მივტრიალდი და უაზრობით აბრიალებული მზერა შემეფეთა. კითხვით კი ნამდვილად არ კითხულობდა. უკან მიბრუნების მიზეზს მიმიხვდა:

— შენ ასე ნუ მიყურებ, შვილო, მე უბრალო ქალი კი ვარ, მაგრამ ჩემი სიტყვა თბილისშიც მაქვს ნათქვამი. ჯერ მარტო თვეზე მეტხანს მთავრობის სახლთან ვმორიგეობდი. მოგეხსენებათ, ალბათ, ეგრეთწოდებულ დემოკრატებს რა დღის დაყრიდით... ერთხელ კიბეებზე ნოდარ ნათაძეს ვებდღვენი. ძლივს გამომგლიჯეს ხელიდან, ვაი, ვაი...

პირგამეხებულმა ქალბატონმა კიდევ დიდხანს იქოთქოთა, მერე სოფელ გუმისთისა და აჩადარის მშრომელთა სახელით ბატონ ირაკლი გოცირიძეს მოკითხვა გადაეციო, დამიბარა, ბაზრის მახლობლად მანქანა შეაჩერებინა და ჩავიდა. გასაგები იყო, რომ „ივერია ექსპრესი“ „ივერია სპექტრში“ აერია. თუმცა მარტო გაზეთების არევას ვინ ჩივის... მძღოლმა, აქ რატომ ჩადიხარო, ჰკითხა. საჭმელი იქნება ვიყიდო რამეო, — უპასუხა. გაზეთი გეკითხა, საჭმელი რად გინდაო, — მიუგო და გზა განაგრძო.

ადგილობრივებმა ამ ქალბატონის შესახებ სხვაც ბევრი გაიხსენეს: სოხუმის ფეხბურთელთა გუნდის წარმომადგენლებს წყევლით მივარდნია — თბილისის ფეხბურთელებთან თამაშში როგორ გაბედეთ, მაგ ხუნტის გუნდთან ალიანსი რატომ დაიჭირეთო.

მას სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრის შენობაშიც უთქვამს „თავისი სიტყვა“ და სხვა...

ამ ქალბატონის სახელსა და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ. იგი ორი კარგი ვაჟკაცის დედაა და შვილები არ მინდა უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო. ამ ომის პერიოდში, როდესაც ერთ-ერთი მათგანი ქართულ არმიაში იბრძოდა, დედას დაუწყევლია შვილი, ხოლო როდესაც ბრძოლაში დაჭრილი საავადმყოფოში მოუთავსებიათ, მაშინ უნახავს. ეტყობა დედის გული მაინც სხვა არის.

თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, ისე ალექსანდრე მაკედონელმაც რომ უსარდლოს, გამარჯვებას მაინც ვერ მოიპოვებსო, — ბრძანებდა კონსტანტინე გამსახურდია. ზემოთ აღნიშნული ქალბატონის მსგავსნი საქართველოს არც თუ ცოტა ჰყავს, ასეთი მტრული სულისკვეთების მქონე ხალხს გამარჯვება მართლაც ძალიან გაუჭირდება. ეს რომ ნამდვილად ასეა, აფხაზეთის მაგალითზეც კარგად ჩანს. მცირე პოლიტიკური ამბიციების ნიადაგზე წარმოშობილი გაუგებრობები ომად გადაგვექცა, რომელსაც წელიწადია ვერკიხებით...

გოგიტა მელიქიძე

ქართული მხედრული ტრადიციები

პატარა კახის დიდი ხელოვნება

ერეკლე II დიდი ამაგი დასდო საქართველოს სახელმწიფო-სამხედრო გაძლიერებას, გარეშე მტერთაგან სამშობლოს დაცვის საშვილიშვილო საქმეს. მეფე-სარდალმა მორიგე ქართული ლაშქრის შემოღება დააწესა და საფუძველი ჩაუყარა მუდმივი, ბრძოლისუნარიანი ჯარის არსებობას, რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, მისი თანამედროვე იარაღით, კერძოდ, ქართველი სპეციალისტების მეშვეობით, არტილერიით აღჭურვას, წამყვანი ევროპული ქვეყნების სამხედრო გამოცდილების გათვალისწინებით, მის გაწვრთნას, სამხედრო აზრისა და საქმის განვითარებას, პატრიოტული გრძნობით ქართველი მეომრების აღზრდას.

ფრიად მნიშვნელოვანი იყო ერეკლე II მხედართმთავრული ნიჭი, ორგანიზატორული უნარი და პირადი წვლილი სამხედრო საქმეში, რომლის ნაყოფი თვალნათლივ გამოვლინდა მის მიერ გადახდილ სამართლიან ლაშქრობებსა და ომებში. ასე იყო, კერძოდ, ასპინძის ომში, 1770 წლის 20 აპრილს. აქ, ძალზე რთულ ოპერატიულ ვითარებაში, როცა რუსეთის ჯარის სარდალმა, გერმანელმა გრაფმა ტოტლებენმა, თურქებთან ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში, შორსგამიზნულად უღალატა ერეკლე II, ბრძოლის ველი მიატოვა და უკანვე, საწყის პოზიციაზე დაიხია...

ასეთ ვითარებაში ერეკლე II საოცარი გამჭრიახობა გამოიჩინა, კრიტიკულ სიტუაციაში არ დაიბნა, თავისი მცირერიცხოვანი ცხენოსანი ჯარით დაუყოვნებლივ ეკვეთა მოწინააღმდეგის 1500-იან ლაშქარს და ერთიანად გადათელა, გაფანტა მოძალადე, ხოლო შემდეგ, მტრის საშველად მოსულ თურქ-ლეკთა 40 ათასიან ჯარს შეება, უეცარი მოხერხებული მანევრითა და შეტევით დაჯაბნა, დაამარცხა კოალიციური ჯარი და მცირე დანაკლისით გადამწყვეტი ბრძოლა მოიგო.

ამ და სხვა ლაშქრობებში მეფე-სარდალი ყველგან იქ იყო, სადაც წყდებოდა ბრძოლისა და ქართლის ბედი. ამიტომაცაა ასე სიმართლით, კოლორიტულად ასახული მისი სახე და ღვაწლი პოემაში — „ბედი ქართლისა“, რომელიც დღესაც შთამაგონებელი გაკვეთილია ქართული მხედრული ტრადიციებისა: „ხედავთ, ვითარის კადნიერებით შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება! საქართველოს დღეს გადაუწყდება თავისი ბედი და უბედობა! დღეს ეჭირება მამულს მხნეობა! დღეს მეც თქვენში ვარ მეომარი, ვითა თქვენგანი ერთი მხედარი; დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული, ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!“

დიდების შარავანდედით შეიმოსა ქართველ მხედართა საბრძოლო ტრადიციები, მათი საბრძოლო ნიჭი და მამაცობა ნაპოლეონ ბონაპარტის დიდი არმიის წინააღმდეგ სამართლიან ომში. მასში ათასობით ქართველი ჯარისკაცი, ოფიცერი და გენერალი მონაწილეობდა და სასახელოდ იბრძოდა ინფანტერიის გენერლის, არმიის სარდლის პეტრე ბაგრატიონისა და სხვა ქართველ ჯართუფროსთა უნარიანი წინამძღოლობით. ნაპოლეონმა იცოდა, რომ ბაგრატიონი ქართველი იყო და დიდად აფასებდა მის მხედართმთავრულ ნიჭს.

ეს პროცესი თვალსაჩინოდ გამოვლინდა XX საუკუნის ისეთ დიდ სოციალურ მოვლენებში, როგორიც იყო I-ლი და მეორე მსოფლიო ომები, ამ გლობალურ ხანძარში, შეიარაღებულ შეჯახებაში ახლებურად გამოჩნდა ქართველი ხალხის, ქართველი ჯარისკაცის მამულიშვილობა, მათი ეროვნული თვალხედვა, ინტერესები, მხედრული მოვალეობა ერისა და მამულის წინაშე, რომლის სპეციფიკური არსი სრულად აისახა ვაჟა-ფშაველას ლექსში „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“.

მსოფლიო ომების გმირები

ჩვენი მამა-პაპანი ოდითგანვე თავგამოდებით იცავდნენ საკუთარ მამულს, ებრძოდნენ ათასი ჯურის მტერს „მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი მამულ-დედული, საკუთარი ტერიტორია შეენარჩუნებინა ქართველ ერსა; იგი სხვას არ ეტანებოდა წაეგლიჯა რამ, შაევიწროებინა სხვა ერი. დღევანდელ ომსაც საბუთად იგივე დედა-მიწა, მამული აქვს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეხლანდელი მეფენი, ქვეყნის მმართველნი, მარტო იმას კი არ სჯერდებიან საკუთარი ტერიტორია დაიცვან, სხვის საკუთარს ებღაუჭებიან და სცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ერთმა მეორეს წაჰგლიჯოს, მიითვისოს“ — წერდა ვაჟა-ფშაველა 1914 წელს, სწორედ I მსოფლიო ომის პირველ წელს.

ფრიად დამაჯერებელი, რეალისტური განსჯაა ურთულესი მოვლენისა, პოეტის ეს ანალიზი, მოვლენის დასაწყისშივე მისი მიზეზებისა და ხასიათის მეცნიერული დასკვნაა, რომელმაც ბევრ ცნობილ სწავლულსა და სამხედრო სპეციალისტს დაასწრო თავისი სწორი და ორიგინალური პროგნოზებით. იგი დღესაც საგულისხმო, ანგარიშგასაწევია თანამედროვე მცირე თუ დიდი ომების ბუნებისა და თავისებურებათა გასარკვევად, ამოსაცნობად.

I მსოფლიო ომში 200 ათასი ქართველი მეომარი: ჯარისკაცი, ოფიცერი და გენერალი მონაწილეობდა. ეს მნიშვნელოვანი ძალა და წვლილი იყო მაშინდელი საქართველოს 2600 ათასი მოსახლეობისა, მისი საერთო რაოდენობის 7,7 პროცენტი ანუ მისი ერთი მეათედი ნაწილი! სამწუხაროდ, მსხვერპლიც დიდი იყო, ბევრი მათგანი ფრონტიდან, ბრძოლის ველიდან შინ არ დაბრუნებულა და ბევრის შესახებაც მნიშვნელოვანი არაფერი დარჩენილა. ქართველი ისტორიკოსები ვალში არიან მათ მიმართ...

დასავლეთის თუ კავკასიის ფრონტებზე საომარ ოპერაციებში, გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლებში თავიანთი მეომრული ნიჭით, გამბედაობით თავი გამოიჩინეს ქართველმა განათლებულმა და ნაცადმა გენერლებმა: გიორგი მაზნიაშვილმა, ილია ოდიშელიძემ, გიორგი კვინიტაძემ, ვასილ გაბაშვილმა, იოსებ გედევანიშვილმა და სხვ. ოფიცრებმა, პოლკოვნიკებმა: დავით ჭავჭავაძემ, გიორგი ჯაბადარმა, კაპიტნებმა: ტარას ვაშაკიძემ, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, პავლე ყუფუნიამ, პოლკის ექიმმა დიმიტრი ჯავახიშვილმა, მოწყალების დამ ანეტა ანდრონიკაშვილმა, ჯარისკაცებმა: მიხეილ მიქელაძემ, ვანო და ძუკუ ძაძამიებმა, იაკობ ჯოჯუამ და სხვ.

გასაოცარი მხედრული ინიციატივა და გულადობა გამოიჩინა პოლკოვნიკ ნიჟარაძის პოლკის მზვერავთა ასეულის მეთაურმა, მოწინააღმდეგის მიერ „შაითან კაპიტნად“ წოდებულმა, კაპიტანმა ტ.ვაშაკიძემ, მან 1914 წლის 22 დეკემბერს, ურთულეს პირობებში, სარიყამიშის რაიონში დაატყვევა თურქეთის არმიის მე-9 კორპუსის სარდალი, შტაბის უფროსი და სამი დივიზიის მეთაური და თავის სარდლობას მიჰგვარა. ასეთი დიდი საბრძოლო დამსახურებისათვის კაპიტანს გიორგის ორდენი და საფრანგეთის ჯილდო „მედალ დე მილიტერ“ გადაეცა და მალე გენერლის წოდებაც მიენიჭა. გენერალმა ვ.გაბაშვილმა 1914 წლის 28 დეკემბერს დაამარცხა თურქეთის 32-ე ქვეითთა დივიზია.

ქართველ მეომართა და ეროვნული ნაწილების მხედრულ უნარსა და გულმოდგინებაზე, მათ საბრძოლო დამსახურებაზე დამაჯერებლად და საინტერესოდ მოგვითხრობენ: გენერალ გ.მაზნიაშვილის მემუარები „მოგონებანი“, პროფ.დ.ჯავახიშვილის „მოგონებათა ფურცლები“, გენერალ ი.გედევანიშვილის „სამხედრო ხელოვნება საქართველოში“, კონსტანტინე გამსახურდიას „ლანდებთან ლაციცი“ და სხვა საყურადღებო დოკუმენტური თუ მხატვრული ლიტერატურა. ამ თხზულებებში ბევრ ქართველ მეომარს, ნაცნობს თუ უცნობს, სამხედრო ეპიზოდსა და ამბავს, ეროვნული მხედრული ტრადიციების ამსახველ საბრძოლო მაგალითს გაეცნობა დღევანდელი მკითხველი და უთუოდ სამახსოვრო და სასარგებლოსაც მიაქცევს ყურადღებას.

უჩვეულოდ მნიშვნელოვანი იყო ქართველთა წვლილი მეორე მსოფლიო ომში. მასში მონაწილეობდა საქართველოს 700 ათასი წარგზავნილი. (მასში არ შედის სხვა რესპუბლიკებიდან თუ პატიმართა ბანაკებიდან თავისი სურვილით ფრონტზე წასული თანამემამულენი... მათ შორის 200 ათასი მოხალისე მეომარი იყო). ამდენი ჯარისკაცი, სერჟანტი, ოფიცერი, ადმირალი, გენერალი თუ გენერალსიმუსი — რესპუბლიკის მაშინდელი მოსახლეობის — 3.400 ათასის, ერთი მეხუთედი ანუ მისი 20 % ებრძოდა უშუალოდ ფრონტზე ფაშიზმს.

ეს მაშინ, როცა ამ ომში მონაწილე მსოფლიოს 60 სახელმწიფოს შორის, პროცენტული შეფარდებით, ყველაზე მეტი საქართველოს შვილი იყო და, ბუნებრივია, მისი წვლილი და დამსახურებაც შესაბამისად წილხვედრი იყო, ხოლო სხვებისა 6,5 % არ აღემატებოდა.

ხმელეთი, ჰაერი, ზღვა

ნიშანდობლივია ისიც, რომ მე-2 მსოფლიო ომში არ იყო ჯარის და იარაღის სახეობა, ხმელეთზე, ჰაერში თუ ზღვაზე ბრძოლის ისეთი ფორმა, სადაც არ მონაწილეობდა ქართველი მეომარი, სადაც არ ყოფილიყოს იგი პირველ რიგებში. დამახასიათებელია ისიც, რომ ქართველები მონაწილეობდნენ 54 სტრატეგიულ, 260 საფრონტო და 1000 საარმიო ოპერაციებში და ყველგან ნიჭიერად, საზრიანად, გულადად ასრულებდნენ მეომრულ მოვალეობას, საბრძოლო ამოცანას. ფრონტებზე სასახელოდ იბრძოდა ცხრა ქართული დივიზია და საქართველოში ფორმირებული ოთხი შენაერთი. მათ ღირსეული წვლილი შეიტანეს ძლიერ და გამოცდილ მოწინააღმდეგეზე გამარჯვებაში.

ეს ისეთი ისტორიული სიმართლეა, რომ მისი შეუფასებლობა, დამცირება თუ უარყოფა ვერავის ძალუძს!

მრავალთა შორის, თვალსაჩინოებისათვის, გავიხსენოთ ჩვენი სახელოვანი მამულიშვილების, არმიის სარდლების, გენერლების: კონსტანტინე ლესელიძის, პორფილე ჩანჩიბაძის, ვლადიმერ ნანეიშვილის; არმიის სამხედრო საბჭოების წევრების, გენერლების: ვასილ მჟავანაძის, დიმიტრი შანშაშვილის; არმიის შტაბების უფროსების, გენერლების: მიხეილ მიქელაძის, მიხეილ ღლონტის, ივანე ბაბალაშვილის; მსროლელი დივიზიების მეთაურების, გენერლების: ვალერიან ძაბახიძის, ისიდორე სილაგაძის, გიორგი ყუფარაძის, გიორგი ყურაშვილის, ნიკოლოზ კალაძის, კირილე ჯახუას, ნიკოლოზ თავართქილაძის; საავიაციო დივიზიების მეთაურების გენერლების, ესტატე ტატანაშვილის, ვასილ სტალინის; არტილერისტების, გენერლების: გიორგი ჯინჭარაძის, ირაკლი ჯორჯაძის; პოლკოვნიკების: გრიგოლ ბარბაქაძის, კლიმენტი ძაძამიას, ლონგინოზ ერისთავის, მიხეილ გეთიას, გივი ყუფუნიას; ტანკისტების: იოსებ ბაჩაკაშვილის, გივი ჰანტურიას, ნიკოლოზ გრძელიშვილის, ხუტა ძაძამიას; ინჟინრების: მარშალ არჩილ გელოვანის, მაიორ ირაკლი ციციშვილის; აკადემიკოსების: იუსტინე ჯანელიძის, ვიქტორ კუპრაძის; მეზღვაურების: ადმირალ გიორგი აბაშელის, I რანგის კაპიტნის იაროსლავ იოსელიანის, ნოე ადამიას, მწერლების: მირზა გელოვანის, მიხეილ კვესელავას; ექიმების: თამარ გოთუას, სილოვან შამათავას, კალე დიხამინჯიას, ლეო ჯაველიძის; ფილოსოფოსების: სავლე წერეთლის, კალენიკე გიორგაძის, პარტიზანების: დავით ბაქრაძის, დიმიტრი იოსელიანის, ევროპაში წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა: ოთარ იმნელის, ივანე ვაჩნაძის, ფირუზ მოსულიშვილის და სხვათა მრავალთა გმირობა და საბრძოლო დამსახურება.

ქართველი მამულიშვილების ეს მხედრული მამაცობა და დამსახურება აისახა საინფორმაციო ბიუროს ოპერატიულ ცნობებში, უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებში, ომის ვეტერანთა მემუარებსა და მონოგრაფიებში. ისინი დოკუმენტური სიზუსტით ადასტურებენ ქართული დივიზიების, მათი პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნარიანობას, საბრძოლო ოსტატობას.

მხედრობითა აღზრდილნი

მხედრული ფიცის, საბრძოლო დროშის, მეომრული მოვალეობის ერთგულების დიდებული, საამაყო სამხედრო ტრადიცია გაგვაჩნია ქართველებს, მისი შემოქმედებითი ათვისება, განგრძობაა საჭირო და სასარგებლო, რადგან რომ კარგი მემკვიდრეობა უნდა გვქონდეს, თავად უნდა ვიყოთ თავისი პატრონი, ბრძნული თქმისა არ იყოს, უნდა ვიცოდეთ ვისი გვარისანი ვართ, რადგან თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ფუჭია გვარიშვილობა. ვინც ამ ჭეშმარიტებას ივიწყებს, ბევრს კარგავს ცხოვრებაში, დიდ ზიანს აყენებს მშობელ ხალხს. და ეს რომ არ მოხდეს, ვადიდოთ მამა-პაპათა მხედრული სახელი. მუდამ გვახსოვდეს, დიდი წინაპრის გრიგოლ ბაკურიანიძის შთამაგონებელი დანაბარები: „ქართველნი ვართ ნათესავნი მხნენი და მხედრობითა აღზრდილნი და მარადის პირველსა ცხოვრებასა ჩვეულნი“.

ამიტომ არა მარტო მართალი სიტყვით, არამედ, პირველ რიგში, სანაქებო საქმით, ღირსეულად განვაგრძოთ წინაპართა მხედრული ტრადიციები, სამამულო ისტორიის სახელმწიფოებრივი, მხედრული გაკვეთილები!

ეს მცოდნე, სამხედრო საქმეზე შეყვარებულ, უნარიან ქართველ მეომართა, მათი სარდლობის, ქვეყნის პოლიტიკოსთა და წინამძღოლთა წმინდა ვალია მამულისა და ერის წინაშე.

პეტრე შამათავა,
გადამდგარი პოდპოლკოვნიკი, საქართველოს
დამსახურებული ჟურნალისტი.

დასასრული.
დასაწყისი იხ. „აბჯრის“ 26 ივნისისა და 24 ივლისის ნომრებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი პასაჟი ჟურნალისტთათვის

რუსეთის დემოკრატიული მთავრობის დერეფნებში მძიმედ სძლევენ საბჭოური უნდობლობის სინდრომს, მაგრამ მაინც სძლევენ.

ვიქტორ ჩერნომირდინთან ედუარდ შევარდნაძის შეხვედრის გასაშუქებლად მისული ჟურნალისტები ერთი პირობა უკან გამოგვაბრუნეს იმ ჩეკისტურ-ბიუროკრატიული ტრადიციული წესის გამო, რომელიც სტარაია პლოშჩადზე ცეკას შენობათა კომპლექსის მთავარ კორპუსში ისე განუხრელად სრულდებოდა, რომ მისი დარღვევის უფლება (ალბათ, სურვილიც) თვით გენერალურ მდივანსაც არ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ იქაურობის პატრონად (ხოზიაინად) ითვლებოდა.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ ბოლოს და ბოლოს სიტყვაზე გვენდნენ და ყოველგვარი სიის გარეშე, უსაშვოდ და უსაბუთოდ — თვლით შეგვიშვეს. მართალია, ერთ, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში იარაღზე შეგვამოწმეს, მაგრამ ეს ახლა ყველგანაა მიღებული, და აღმოვჩნდით დარბაზში, რომელიც ბრეჟნევის, ანდროპოვის, ჩერნენკოს, გორბაჩოვის, გაიდარის ყოფილი, ახლა კი ჩერნომირდინის სამუშაო კაბინეტის გვერდითაა.

დელეგაციათა შეხვედრის 2-3-წუთიანი ტელე-და ფოტოდაფიქსირება და — მადლობა პრესას! გამოვედით.

ჰოლში დაველოდებით შედეგებს...

• • •

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის და რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას შეხვედრას რუსეთის პრემიერთან ვიქტორ ჩერნომირდინთან, რომელიც 23 აგვისტოს ჯერ 18, შემდეგ 19 საათზე უნდა გამართულიყო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კულუარებში. სწორედ აქ, უმაღლესი დონის ამ შეხვედრაზე უნდა გადაწყვეტილიყო ამდენჯერ დაპირებული, შეთანხმებული საკითხები კრედიტების, მარცვლეულის, ენერგოშემცველების რესპუბლიკისათვის მოწოდების, ანუ ეკონომიკური ბლოკადის ეკონომიკური თანამშრომლობით შეცვლის შესახებ ბოლოს და ბოლოს მოგვარდებოდა, თუ პრინციპული შეთანხმება, რომელიც იმ დღის პირველ ნახევარში პრეზიდენტ ელცინთან იყო მიღწეული, კვლავ პოლიტიკური დეკლარაციების სფეროში დარჩებოდა.

გარკვეული შეშფოთების საბაბს ისიც იძლეოდა, რომ ვიქტორ ჩერნომირდინმა მაინცდამაინც იმ დღეებში გააკეთა კატეგორიული განცხადება იაპონიისთვის კურილის კუნძულების დაბრუნების აბსურდულობის შესახებ, და ანალიტიკოსებმა ეს ფაქტი შეაფასეს, როგორც პრემიერის მიერ მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე თავისი, პრინციპულად ხაზგასმული დამოუკიდებელი პოლიტიკის დემონსტრირება, რომელიც, რა თქმა უნდა, არ იფარგლებოდა რუსეთ-იაპონიის ამ განხეთქილების ვაშლის პრობლემის საზღვრებით და გავრცელდებოდა სხვა საშინაო თუ საგარეო საკითხებზეც.

კიდევ: რუსეთის ეკონომიკას თავადაც ძალიან უჭირს, განსაკუთრებით ფინანსებში, ცოტაც და — შეიძლება სულ მოიშალოს, შოკური თერაპიის დადებითი შედეგები არ ჩანს, უდიდესი საწარმოები გაჩერების ზღვარზეა, კორუფცია ღრღნის სახელმწიფო მექანიზმს, მოსახლეობის სოციალური

კომპეტენტური კულუარები

მოსკოვში ჯერ არ აცივებულა

დაცვის პრობლემა გადაწყვეტილი არ არის და ასე შემდეგ. უამრავი საკუთარი პრობლემით თავატკივებული მთავრობა სხვის გასაჭირს გულთან ახლოს მიიტანს, ახალ თავსატეხს გაიჩენს?

რა პოზიციას დაიკავებს ჩერნომირდინი ამ შეხვედრაზე?

მოლაპარაკებათა დარბაზში ხელისჩამორთმევისთანავე მის საერთოდ მკაცრ სახეზე კი გამოკრთა ღიმილი, მაგრამ ეს უფრო პროტოკოლით გათვალისწინებულ მიმიკას ჰგავდა. არც ჩვენებს შეუცვლიათ საქმიანი გამომეტყველება.

რუსეთის პრემიერ-მინისტრის „საჩვენოდ მოქცევა“ საქართველოს დელეგაციის არგუმენტირებულ პოზიციაზე და მოლაპარაკების წარმართვის ხელოვნებაზე იყო დამოკიდებული.

გავიდა ერთი საათი, საათნახევარი.

რამდენიმე რუსული ტელეჯგუფი არ ელოდება შეხვედრის დამთავრებას და მიდის.

ქართველ ჟურნალისტებს შორის შეშფოთებაა: ესე იგი, ისეთმა ინფორმაციამ გამოჟონა, რომ კოლეგებმა ხელი ჩაიქნეს და წავიდნენ? ეს არ უნდა ყოფილიყო არც უარყოფითი, არც დადებითი ინფორმაცია, რადგან ორივე ერთნაირად საინტერესოა ელექტრონული პრესის წარმომადგენელთათვის. მაშასადამე, საქმე უარესადაა — არის რაღაც ამორფული, ნეიტრალური, უშედეგო შედეგი, რის მიმართაც ინდიფერენტულია ჟურნალისტიკაც და საზოგადოებაც.

ეჭვები, ეჭვები...

უფრო გამოცდილნი ამტკიცებენ, ეს გახანგრძლივება სწორედაც იმის მაჩვენებელია, რომ საკითხებს საფუძვლიანად განიხილავენ, საფუძვლიან განხილვას კი დაუინტერესებლად არავინ აწარმოებს. ესე იგი, არის დაინტერესება, მაშასადამე, — პრობლემების დადებითად გადაწყვეტის შესაძლებლობაც.

ამ ბოლო დროს ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის სხვა სახელმწიფოთა ხელმძღვანელებთან შეხვედრათა თუ პირისპირ საუბრების ორჯერ და მეტად გახანგრძლივების გამო ოფიციალური ვიზიტების გრაფიკი სისტემატურად ირღვევა. რა არის ამის მიზეზი? პასუხი მის გარდა არავინ იცის. თუ საშუალება მომეცა, შევეკითხები. საინტერესოა.

• • •

9 საათია. 2 საათია გრძელდება შეხვედრა. ათის ნახევარი...

ოთარ ჩერქეზია, საქართველოს რესპუბლიკის დესპანი, რომელიც მისი თანამდებობის შესატყვისად ქართველ ჟურნალისტებთან დესპანობს ხოლმე ჩვენი მთავრობის დელეგაციებს მოსკოვური შეხვედრების დროს, ახლაც, მოლაპარაკების საერთო ნაწილის დამთავრებისთანავე პირდაპირ ჩვენთან მოდის.

დელეგაციის წევრები ჰოლში გამოვიდნენ, სახელმწიფოს მეთაური და რუსეთის პრემიერი პირისპირ აგრძელებენ საუბარს დახურულ კარს იქით.

— ბატონო ოთარ, როგორ მიდის მოლაპარაკება?

— პრინციპულად, კარგად!

— დეტალებშიც?

— ბევრი დეტალიც განიხილეს და რამდენიმე დღეში საბოლოო პასუხიც გვეცოდინება — რისი მიღება შეიძლება, რისი იმედი არ უნდა გვქონდეს. უმრავლესობა საკითხებისა დადებითად გადაწყდა. მაგალითად, მარცვლის მოწოდების, ყველაფრის მიუხედავად, გადაწყვეტილად უნდა ჩავთვალოთ.

— კრედიტები?

— კრედიტებზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ზუსტი თანხა არაა დასახელებული, რადგან რუსეთის მთავრობას ორი დღე სჭირდება, რომ გაერკვეს რა შესაძლებლობა გააჩნია ამჟამად, და, შემდეგ, უმაღლესმა საბჭომ უნდა მისცეს ნებართვა.

— ეს ისევ ხათრის ზღუდეს ყველაფერს?

— არა. დღეს უმაღლეს საბჭოში ჩვენს მიმართ უფრო დადებითი დამოკიდებულებაა. ახლა, ალბათ, საჭიროა კონტაქტების გაღრმავება პარლამენტების დონეზე. ჩემის აზრით, საჭიროა, რომ ჩვენმა პარლამენტმა კომისიების დონეზე უფრო აქტიურად იმუშაოს რუსეთის პარლამენტის კომისიებთან.

— კონკრეტული საკითხებიდან რომელს გამოჰყოფდით?

— თავისუფალი ვაჭრობის, სამხედროებისთვის პენსიების მიცემის საკითხებს. ჩვენს პოზიციას ამ საკითხებში გაგებით მოეკიდა რუსეთი. განხილვა საკმაოდ საფუძვლიანი იყო, მაგრამ მწვავე დისკუსია ან საკუთარი პოზიციის ჯიუტი დაცვა არ ყოფილა. მთავარი ისაა, რომ რუსეთის პრემიერის განცხადებით, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენთვის დახმარების გაწევისათვის გამოძებნიან რეალურ საშუალებას.

პრემიერის პოზიცია საქართველოს მიმართ პრეზიდენტის პოლიტიკასთან რეზონირებს. დღეს უკვე ჰქონდათ ერთმანეთთან მოკლე საუბარი, ხვალ კი საფუძვლიანი შეხვედრა ექნებათ ამ საკითხებზე. პრემიერმა არ დამალა, რომ იგი დადებითადაა განწყობილი ჩვენი საკითხების გადაწყვეტისადმი.

შემდეგ, ჟურნალისტებთან გამართულ ხანმოკლე ბრიფინგზე ბატონი ჩერნომირდინი იტყვის, რომ განიხილეს საკითხები, რომლებიც ორივე მხარისათვის საინტერესო და სასარგებლოა და ყოველ ღონეს იხმარს, რათა რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდოს შეთანხმება ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ.

ამით დაადასტურა, რომ მოლაპარაკება პარტნიორთა შორის მიმდინარეობდა და არა მოწყალების მთხოვნელსა და მოწყალების გამცემს შორის.

ერთი ჩემი ახალგაზრდა კოლეგა მაინც კითხულობდა ყველა ხელსაყრელ მომენტში — კრედიტებს რომ მოგვცემენ, სანაცვლოდ რას თხოულობენო. და ყველასაგან ერთ პასუხს იღებდა: — იმას, რაც საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობებითაა გათვალისწინებული — პროცენტებს.

ეს პასუხი „შეურიგებელ“ ჟურნალისტთათვის — საქართველო არავის გაუყიდია.

— ბატონო ოთარ, 14 მაისსაც მიღწეულ იქნა შეთანხმება კრედიტების ნაწილ-ნაწილ მიღების შესახებ, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა.

— უბედურება ისაა, რომ ჩვენ გვაქვს პარაფირებული ხელშეკრულებები, რომლებიც ხელმოწერილი არაა, ამიტომაც ერთ ადგილს ვტკეპნით.

— და ახლა რა გარანტიაა, რომ ისინი „ამუშავდება“?

— 14 მაისს ყველაფერი მაინც განპირობებული იყო აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხით. მაშინ, არ ვიტყვი, ვისი მიზეზით, მაგრამ ამ კონფლიქტის მოსაწესრიგებლად არაფერი გაკეთებულა. ახლა კი რეალურად მოხსნილია ის მთავარი პოლიტიკური წინააღმდეგობა, რომელიც ხელს უშლიდა ამ საკითხების გადაწყვეტას.

რატომ ირღვევა შეხვედრების პროგრამები?

რეპორტაჟის შუაწელში ვთქვი, თუ გახსოვთ, რომ სათაურში გამოტანილ ამ შეკითხვას დავუსვამდი ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რადგან სხვა ვერ მიპასუხებს-მეთქი.

თვითმფრინავში ამის შესაძლებლობა მომეცა.

აი, მისი პასუხი:

— თუ მხედველობაში გაქვთ დღევანდელი შეხვედრები და არა მარტო დღევანდელი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლაპარაკია სრულიად ახალი ურთიერთობების მშენებლობაზე. ისიც კი, ძველი კავშირი რომ აღადგინო და ძველ თანამშრომლობას დაუბრუნდე, იოლი არ არის. ხანდახან სახლის ფუნდამენტური შეკეთება უფრო ძნელია, ვიდრე ახლის აშენება. ძველი კავშირების აღდგენა თავისთავად ძალიან რთული პროცესია, იმიტომ, რომ ძველმა პარტნიორებმა, მაგალითად, რუსეთში უკვე იპოვეს ახალი თანამშრომლები. იმის განახლება, რაც 2-3 და 4 წლის წინ იყო, ძნელია, ამაზე დიდი დრო იხარჯება.

რაც შეეხება თანამშრომლობის ახალ პრინციპებზე დამყარებული ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ბუნებრივია, ეს უფრო იოლია. ასე იყო, მაგალითად, ირანთან, გნებავთ, — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, გნებავთ, — ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ვისთანაც ხელშეკრულების დასადებად საერთაშორისო სტანდარტებიც კი საკმარისი იყო. რუსეთთან, ვიმეორებ, რთულია, ძნელია. ორი საუკუნის განმავლობაში იყო საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და დღეს, ერთის მხრივ, უნდა მოხდეს გამიჯვნა, ახალი, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება, და, მეორე მხრივ, უნდა აშენდეს ისეთი თანამშრომლობა, რომელიც ორთავე ქვეყნის ინტერესებშია. არ უნდა დაიკარგოს ის, რაც კარგი იყო ამ ორ ხალხს შორის ურთიერთობაში. აი, სწორედ ეს მოითხოვს ძალიან დიდ ენერგიას, მოთმინებას, მოითხოვს დროსა და, გეტყვით, — პოლიტიკურ ხელოვნებასაც, რათა ჩვენი ქვეყნებისათვის ზიანის მიუყენებლად თვისობრივად ახალი ურთიერთობა ავაშენოთ.

— იმ მოლაპარაკებებთან შედარებით, მაშინ რომ აწარმოებდით, როცა სსრკ ახალ საგარეო პოლიტიკას ჰქმნიდით, ეს მოლაპარაკებები, რომელთაც ახალი საქართველოს ჩამოყალიბების პროცესში ატარებთ, უფრო ძნელია, თუ პირიქით?

პაუზა. ჩაეცინა. მიპასუხა:

— ეს უფრო რთულია. იმიტომ რომ მაშინ, ავი იყო თუ კარგი, შენს ზურგს უკან იდგა ძლიერი სახელმწიფო, და მეორე მხარე დაინტერესებული იყო კომპრომისებში, სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული. ეს კომპრომისები რომ არა, ბირთვული იარაღის გამოყენება, ასე თუ ისე, რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა. ჩვენგან იყო მაშინ, საბჭოთა კავშირის მხრიდან ძნელი კომპრომისებზე წასვლა, მაგრამ შენ თუ წახვიდოდი, ისინი — მოდიოდნენ. აქ კი, ამ მოლაპარაკებათა დროს შენს ზურგს უკან დაბეჩავებული და დაუძლურებული ქვეყანა არის, ამიტომ ინტერესების სრულ დამთხვევაზე ლაპარაკი ცოტა ძნელია. აქ უფრო მეტად ჩვენ მთხოვნელის როლში ვართ ხოლმე და ამაყი კაცის პოზიციიდან ვერ ელაპარაკები, თუმცა გინდა, რომ ამაყი იყო, მაგრამ ყოველთვის ასე არ გამოდის. ამიტომ, ეს პროცესი უფრო რთულია, უფრო ძნელია. მაგრამ მაინც მიდის. იმაზე უბრალოდ თვალის გადავლებაც კი, რაც ამ წელიწადნახევრის განმავლობაში გაკეთდა, მიგვანიშნებს, რომ თურმე პატარა და ეკონომიკურად სუსტ ქვეყანასაც ძალიან ბევრის გაკეთება შეძლებია.

• • •

ქვემოთ ენთო ქალაქი. თბილისში იყო ღამე, მაგრამ ახალი დღე უკვე დაწყებული იყო.

არმაზ სანებლიძე.
მოსკოვი-თბილისი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 188.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გადალახა „კრიზისული მიჯნა“

„სიამის ტყუპისცალთან“ განცალკევების ოპერაციის შემდეგ გადარჩენილმა რვა კვირის ანჯელა ლეიკბერგმა გადალახა „კრიზისულად დიდმნიშვნელოვანი 72-საათიანი ოპერაციის შემდგომი მიჯნა“. ეს განაცხადა დღეს ფილადელფიის (პენსილვანიის შტატი) საბავშვო ჰოსპიტლის წარმომადგენელმა, სადაც გაკეთდა ეს ურთულესი ოპერაცია.

გასულ პარასკევს ექიმებმა სცადეს განეცალკევებინათ ანჯელა და მისი და ემი, შეზრდილი ექვსკამერიანი გული. მაგრამ ოპერაციის დროს სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სამკამერიანი „ნაწილები“ ვერ უზრუნველყოფდნენ ტყუპის თითოეული ცალის სასიცოცხლო მოქმედებას, და იძულებული გახდნენ გაეწირათ ემის სიცოცხლე ანჯელას ხსნისათვის, რომლის გადარჩენის შანსი უფრო მეტი იყო. ემის დაკრძალვა მოხდა ორშაბათს მამამისის სამშობლოში ქალაქ როუზლაუნში (ინდიანის შტატი).

ამჟამად ანჯელა, რომელიც 3,8 კილოგრამს იწონის, კრიზისულ, მაგრამ სტაბილურ მდგომარეობაშია, რომელიც ექიმებს მიაჩნიათ „სავსებით დამაკმაყოფილებლად, თუ გავითვალისწინებთ მის მიერ გადატანილი ოპერაციის რთულ ხასიათს“. „მას საუცხოო სისხლის მიმოქცევა აქვს და იგი საკმაოდ აქტიურია“, — თქვა ქირურგმა ტონ ტემპლტონმა. მისი თქმით, შემდეგი ამოცანა ის იქნება, რომ „თანდათანობით გამორთონ იგი ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან“.

ტყუპები დაიბადნენ 29 ივნისს ჩიკაგოს გარეუბანში უმუშევარ შემდუღებლის ოჯახში. ადგილობრივმა ექიმებმა უარი თქვეს „სიამის ტყუპების“ განცალკევებაზე, რადგან მიაჩნდათ, რომ ასეთი ოპერაციის წარმატების შანსი უაღრესად მცირეა. მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე და გარდაუვალად დაიღუპებოდა უახლოეს რამდენიმე კვირაში.

ტყუპების განცალკევება გაბედეს ფილადელფიის საბავშვო ჰოსპიტლის ექიმებმა, რომელიც, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიჩნეულია ამგვარ ოპერაციათა ჩატარების ერთ-ერთ წამყვან სამედიცინო დაწესებულებად. იგი იკისრებს აგრეთვე ოპერაციის პრაქტიკულად ყველა ხარჯებს, რომლებიც ასიათასობით დოლარად არის შეფასებული. სტატისტიკის მონაცემებით, ყოველ 60 ათას მშობიარობაზე მოდის „სიამის ტყუპების“ დაბადების მხოლოდ ერთი შემთხვევა. მაგრამ მათი უმრავლესობა ამქვეყნად ჩნდება მკვდარი, ან ერთ დღეზე ნაკლებს ცოცხლობს.

რაც შეეხება შეზრდილგულიან ტყუპებს, რომლებმაც ამ ვადაზე მეტ ხანს იცოცხლეს, ამ ცოტა ხნის წინათ მედიკოსთა უმრავლესობებს მათი განცალკევების ოპერაციები წინასწარ ჩასაფუშავად განწირულად მიაჩნდათ. ამგვარი პირველი წარმატებული ოპერაცია 1977 წელს გააკეთა ევერეტ კუპმა, რომელიც შემდგომში ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი ექიმი გახდა. მან შეძლო ტყუპების განცალკევება, რომლებსაც აგრეთვე შეზრდილი ექვსკამერიანი გული ჰქონდათ. მართალია, ერთ-ერთი მათგანი საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა, ხოლო მეორე სამი თვის შემდეგ ღვიძლის დაავადებისაგან.

ვისი მითითებით მოხდა

ინდოეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რაჯივ განდის მკვლელობა მოხდა პრაბჰაკარანის — შრი-ლანკის ჩრდილო-აღმოსავლეთში მოქმედი სეპარატისტული დაჯგუფების „თამილ ილამის განთავისუფლების ვეფხვების“ ლიდერის პირდაპირი მითითებით. ეს ფაქტი გამოვლინდა მადრასში მიმდინარე იმ პირთა ჯგუფის სასამართლო პროცესზე, რომლებსაც ბრალად ედებათ რაჯივ განდიზე თავდასხმის ორგანიზაცია.

1991 წლის 21 მაისს რაჯივ განდი ემზადებოდა თამილნადის შტატში მასობრივ მიტინგზე გამოსასვლელად, როცა მას ყვავილების გირლანდით მიუახლოვდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც „ცოცხალი ბომბი“ აღმოჩნდა. ძლიერი აფეთქების შედეგად დაიღუპნენ ყოფილი პრემიერი და მისი გარემოცვის რამდენიმე კაცი. მადრასის სასამართლოზე ერთ-ერთმა ბრალდებულმა — ვინმე დჰანასეკარანმა — უჩვენა, რომ სწორედ იგი უზრუნველყოფდა დანაშაულის მთავარი ორგანიზატორის, „ვეფხვების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის სივარასანის საფარს. „მან მითხრა, განდი პრაბჰაკარანის ბრძანებით მოვკალიო“, — აცნობა სასამართლოს ბრალდებულმა. სივარასანს მიაკვლიეს ინდოეთის უშიშროების ძალებმა და სროლის დროს მოკლეს.

ეკონომიკური სანქციები ჩინეთის წინააღმდეგ

კლინტონის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება შემოიღოს „ერთგვარი ეკონომიკური სანქციები“ ჩინეთის წინააღმდეგ პეკინის მიერ პაკისტანისათვის სარაკეტო ტექნოლოგიის მიწოდების გამო. ამას სამშაბათს იუწყებოდა ტელეკომპანია ეი-ბი-სი. როგორც ტელეკომპანიის კორესპონდენტმა ჯონ მაკუეტიმ შეიტყო, სანქციები შეიძლება ოფიციალურად გამოცხადდეს „მოგვიანებით ამ კვირაში“. ადმინისტრაცია, ეი-ბი-სის თქმით, „ჯერ კიდევ განსაზღვრავს, რამდენად მკაცრი უნდა იყოს ეს სანქციები“.

2 მილიონი დოლარი დახმარება

სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ შეერთებული შტატები გამოყოფს ორ მილიონ დოლარს აზერბაიჯანში ადგილნაცვალ პირთა დასახმარებლად.

აზერბაიჯანში ადგილნაცვალ პირთა რიცხვის ზრდის საპასუხოდ შეერთებული შტატები აპირებს გამოყოს თითო მილიონი დოლარი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უზენაესი კომისრის მისიას აზერბაიჯანის მოსახლეობის ამ აბსოლუტურად დაუცველი ნაწილის დახმარებისათვის, აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განცხადებაში. ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს დაეხმაროს აზერბაიჯანელი ეროვნების ადგილნაცვალ პირებს „იხსენით ბავშვები“ პროგრამის ფარგლებში მოქმედი კერძო ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მეშვეობითაც, აგრეთვე გახდეს აზერბაიჯანში თვითმფრინავებით საზნების პარტიის სასწრაფო გადასროლის ოპერაციის სპონსორი, რომლის განხორციელება 27 აგვისტოსათვის არის დანიშნული.

ადგილნაცვალ პირთა რიცხვი აზერბაიჯანში 450 ათას კაცს აღემატება; ეს მთიანი ყარაბაღის ანკლავის ირგვლივ გაჩაღებული ეთნიკური კონფლიქტის შედეგია. თუ საომარი მოქმედება გაგრძელდება, ადგილნაცვალ პირთა რიცხვი გაიზრდება.

შეერთებული შტატები დიდად არის შეშფოთებული აზერბაიჯანში ადგილნაცვალ პირთა ბედით და ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ შეამსუბუქოს მათი ტანჯვა თავისუფლების მხარდამჭერის შესახებ კანონის დებულებების მიხედვით, რომლებიც ეხება აზერბაიჯანის მთავრობის დახმარებას. **ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ მოუწოდებს კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარეს მიაღწიონ ვითარების მშვიდობიან მოწესრიგებას ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პროცესის ფარგლებში.**

თითო აბზაცით

● **ვიეტნამის უზენაესმა სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა მთავრობის საწინააღმდეგო დაჯგუფების სამ ლიდერს, რომლებსაც მიმდინარე წლის მარტში დაგეგმილი ჰქონდათ ტერორისტულ აქციათა განხორციელება. ქალაქ ხოშიმინში დასრულებული სასამართლო პროცესის დროს სხვა განსასჯელებს, რომლებსაც ბრალად ედებოდათ „სახალხო ხელისუფლების დამხობის ცდა“, მიუსაჯეს ხანგრძლივი ვადის პატიმრობა — 6-დან 20 წლამდე.**

● **ირანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ხუზესტანის პროვინციაში აღმოაჩინეს ნავთობის დიდი საბადო. სპეციალისტთა შეფასების თანახმად, ახალ საბადოში დაახლოებით 7 მილიარდი ბარელი ნავთობია. თავისი ხარისხით იგი მოგვაგონებს იმ ნავთობს, რომელსაც ჩრდილოეთის ზღვაში მოიპოვებენ. საბადო ქალაქ აბადანიდან ჩრდილოეთით 80 კილომეტრზე მდებარეობს, სადაც მუშაობს ირანში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა.**

● **მეხიკო. ნიკარაგუაში გაათავისუფლეს მძევალთა უკანასკნელი ჯგუფები, რომლებიც გასულ კვირას შეიპყრო სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის ორმა შეიარაღებულმა ორგანიზაციამ. ნუევა-სეგოვის დეპარტამენტში „ჩრდილოეთის ფრონტი 3-80“ კონტრრევოლუციონერთა დაჯგუფებამ გაათავისუფლა პარლამენტის დეპუტატები ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტისაგან, აგრეთვე სანდინისტური სახალხო არმიის სამი ოფიცერი. რამდენიმე საათის შემდეგ პროსანდინისტურად განწყობილმა კომანდოსებმა გაათავისუფლეს მანაგუაში ნიკარაგუას ვიცე-პრეზიდენტი ვირხილიო გოდოია და ოპოზიციური ეროვნული კავშირის კოალიციის კიდევ ოთხი ხელმძღვანელი, რომლებიც მძევლად აიყვანეს პარასკევს კონტრრევოლუციონერთა აქციის საპასუხოდ.**

● **ტოკიო. კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს სულ ცოტა ორი მიწისქვეშა ბაზა საბრძოლო რაკეტების გასაშვებად, რომლებსაც შეუძლიათ მიაყენონ დარტყმები იაპონიას, ჩინეთს, რუსეთსა და გუამის კუნძულზე მდებარე ამერიკის ბაზებსაც კი. ამას იუწყება ტოკიოს პრესა, რომელიც იმოწმებს მიმდინარე წლის აგვისტოში სამხრეთ კორეაში გაქცეული ჩრდილოკორეელი ოფიცრის იმ ჯუ ხონის ჩვენებებს. როგორც მან თქვა, უკვე მოქმედი სარაკეტო ბაზები განლაგებულია ქალაქების კომდუჯანისა და მუნჩხონის რაიონებში. ამჟამად ფხენიანი აგებს კიდევ ორ მიწისქვეშა სასტარტო მოედანს მუნგანისა და ვონსანის რაიონებში.**

ამ ტრიალ ქვეყანაზე

„ჩვენისთანა ბედნიერი?!“

ზრუნვა, როგორც ადამიანის სამყაროში

ყოფნის წესი და „ქართული უზრუნველობა“

ერის თავისებურებათა შესახებ მსჯელობა რთული ამოცანაა, განზოგადების საქმის უნარს მოითხოვს და საპასუხისმგებლოცაა, მით უფრო, როდესაც იგი ერის ნაკლოვან მხარეებს ეხება. ამგვარი განზოგადება არ უნდა დარჩეს „ჩვენ, ქართველები“-ს დონეზე, რაც არცთუ იშვიათად ისმის და არა მხოლოდ ზერელე და გაუმართლებელი პრეტენზიულობის დონეს არა სცილდება, ხშირად ღიმილსაც იწვევს და ზოგჯერ სამართლიან აღშფოთებასაც.

ილიას შეეძლო ყოველგვარი წინასწარი შენიშვნის გარეშე ეწერა „ჩვენისთანა ბედნიერ ერზე“ —

ჩვენისთანა ბედნიერი,
განა არის სადმე ერი?!

არ რის მქონე, არ რის მცოდნე,
უზრუნველი და მშიერი.

ცხადია, ილიას დამოწმებული სტრიქონები ნაკარნახევია მისი დიდი და დაუღალავი ზრუნვით ერსა და სამშობლოზე.

წინამდებარე წერილი „უზრუნველობის“ საკითხს ეხება და მიზანშეწონილად მიმაჩნია ერთი მნიშვნელოვანი წყაროც დავიმოწმო.

როგორც ერთი პუბლიკაციიდან ირკვევა (პუბლიკაცია ეკუთვნის ბ-ნ ნ. კეკვაძეს, „დრონი“, 17.III.93), გერმანიის სადაზვერვო ორგანოებს უკანასკნელი მსოფლიო ომის დროს შედგენიათ განსაკუთრებული დოსიე ქართველებზეც და აქაც მის დანიშნულებას სტრატეგიული გეგმების დროს მისი გამოყენება შეადგენდა. აქ ქართველებს საკმაოდ დამაჯერებელი დახასიათებაა მოცემული. დადებით თვისებათა შორის აღნიშნულია მათი მობილურობა, ინტელიგენტობა, სტუმართმოყვარეობა, სიმამაცე, საპირისპირო, „უარყოფითად მოქმედი“ თვისებებია — უზრუნველობა (Sorglosigkeit) და შრომის დაბალი ინტენსიურობა.

ზრუნვისა და მზრუნველობის საკითხი ძველთაგანვე წარმოადგენდა სპეციალური განაზრების საგანს. ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეს ეკუთვნის მეცნიერისა და ფილოსოფოსის ჰიგინუსის არაკი, სადაც მითოლოგიურ ფორმაშია გადმოცემული ადამიანის წარმოშობის ამბავი. ადამიანი შექმნა ზრუნვამ და სული მას იუპიტერმა შთაბერა.

შემთხვევითი არაა, რომ ზრუნვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა თანამედროვე ექსისტენციალიზმში და ჰაიდეგერის (1889-1976) მიხედვით წარმოადგენს ადამიანის სამყაროში ყოფნის წესს, ადამიანური არსებობის ძირითად მდგომარეობას, ვისაც ზრუნვა, როგორც ადამიანური განცდა, საკუთარი განაზრების საგნად გაუხდია, დარწმუნებულა, რომ ესაა საკმაოდ „შემაწუხებელი“, „ძნელად ასატანი“ და „მომაბეზრებელი“ განცდა. ვრცლად და შესაფერისი სიღრმით მისი შინაარსი იხსნება გოეთეს „ფაუსტში“ (მეორე ნაწილში).

შუაღამისას ფაუსტს ოთხი ჭაღარა ქალის სახით ოთხი ადამიანური განცდა მოევლინება: ბიწიერება, ცოდვა, გაჭირვება და ზრუნვა. მათ კარი დახშული დახვდებათ და ოთახში შეღწევის იმედს კარგავენ, — „მდიდრებთან... გზა არა აქვთ“. ბიწიერება აქ შეიძლება მხოლოდ აჩრდილად გადაიქცეს; ცოდვა — მთლად „დაიკარგოს“. გაჭირვებას ახლოსაც არ გაიკარებენ „განებივრებული მდიდრები“.

სამივე ქალი გაქრება სცენიდან და მიუხედავად იმისა, რომ ფაუსტი ზრუნვასაც გაბრუნებისაკენ მოუწოდებს, ის მაინც დარჩება. დიალოგი შემდეგ ფაუსტსა და ზრუნვას შორის მიმდინარეობს და მისი ბუნება აქ უფრო მეტად იკვეთება.

ზრუნვის უპირველესი ნიშანი ისაა, რომ მისთვის არავითარი დაბრკოლება არ არსებობს — და შეუძლიან დახშული კარის გასაღების ღრიჭოშიც შეაღწიოს, ადამიანის სულამდე მიაღწიოს და იქ მკვიდრად დაისადგუროს, მისი ძახილი თუმცა, ყურზე ვერ მოქმედებს („ყურს არ ესმის“), მაგრამ ის ძლიერად ისმის სულის სიღრმეებში. ის საშინელი თანამგზავრის სახით ევლინება ადამიანს — ზღვაზე თუ ხმელეთზე, მას ყველა გაურბის, ყველა წყევლასა და კრულვას უთვლის, მაგრამ ის ყველგანაა და მას ყველა იფერება. ვის სულშიც ზრუნვა ჩასახლდება, მძიმე უღლად აწვება მას, სიბნელითა და ღამის წყვდიადითაა იგი მოცული, აღარაფერი სასურველი აღარ არსებობს, არც მზის ამოსვლა და არც ჩასვლა, როგორი ძალითაც უნდა მოქმედებდნენ მისი გრძნობები, მაინც კაეშნით იქნება დათრგუნული, ზრუნვის მიზეზით წყვეტს ადამიანი არსებობას, როგორც სიმდიდრის მფლობელი; ის თითქოს ბედნიერი უნდა იყოს, მაგრამ დარდითაა დამძიმებული; სიუხვით უნდა ხარობდეს და მწუხარებით იტანჯება; სიხარულის მოლოდინში უნდა იყოს, მაგრამ მწუხარებით არის მოცული.

ქართულ მეტყველებაში „ზრუნვასა“ და „მწუხარებას“ შორის კავშირი ძველადაც იყო გაცნობიერებული და ახლაც. ზრუნვა არის „შიში დაცემისა, გინა ნაღვლიანისა“ (საბა); ესაა ნაღველი, რვა, მწუხარება (დავით ჩუბინაშვილი), ესაა წუხილი, დარდი, ფიქრი ვინმეზე ან რამეზე („განმარტებითი ლექსიკონი“), ესაა, ამავე დროს, გარჯა, თადარიგის დაჭერა, მოვლა, პატრონობა, ამაგის გაწევა.

• • •

გავიხსენოთ „ქართული უზრუნველობის“ რამდენიმე მაგალითი, რომელიც უახლოეს წარსულს და ჩვენს დღევანდელ დღეს განეკუთვნება.

ერთ წერილში („ნათესავი ქართველთა...“, „საქართველოს რესპუბლიკა“, 6.III.93) შევეხე დღევანდელი ქართველების იმ ნაწილს, რომლებსაც „ავიწყდებათ“ ქართველების მოღალატური როლი 1921 წლის 25 თებერვლის ტრაგედიაში. გაზეთის გამოსვლის დღესვე დამირეკა ერთმა „დამსახურებულმა ჟურნალისტმა“ და დიდი უკმაყოფილება გამოთქვა.

ტრაგედია მხოლოდ ის კი არ იყო, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი დაკარგა, არანაკლებ სამწუხაროა, რომ პატარა ქვეყანა დანაწილდა და შეიქმნა ცოცხალი სხეულისაგან მისი ორგანული ნაწილის ამპუტირების რეალური საშიშროება. სულ მალე გახდა ნათელი, რომ აქ სეპარატისტული მიდრეკილებანი არ შენელდებოდა, უფრო მეტად გაძლიერდებოდა და საკითხი სავსებით გარკვეული, გადაუდებელი და შეუნელებელი ზრუნვის საგანი უნდა გამხდარიყო.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში თითქმის სამი მეოთხედი საუკუნე გასტანა, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ რეგიონებისაკენ მზრუნველი თვალით გაეხედათ და იქ შექმნილი განწყობილებანი ეროვნული მთლიანობის პოზიციიდან შეეფასებინა.

როგორ და რატომ შეიქმნა იმგვარი ვითარება, რომ მაგ., ცხინვალის კვლევით ინსტიტუტში არც ერთი ქართველი მეცნიერი არ მიიღეს, რომ მუზეუმში არც ერთი ძეგლი არ გამოფინეს (მთელ იმ ტერიტორიაზე ყველა, უკლებლივ ყველა ძეგლი ქართულია!), საზოგადოებისაგან შეგნებულად დაფარეს — რა ადგილი ეჭირათ იმ კუთხეში არაქართველ მოსახლეობას, როგორ გრძნობდნენ თავს იქ ისტორიულად ებრაელები და სომხები, რა როლი შეასრულეს ქართული კულტურის მშენებლობაში ამ კუთხის მოღვაწეებმა, მწერლებმა, მეცნიერებმა, მსახიობებმა. როგორი წვლილი შეიტანა ამ კუთხის ქართულმა მეტყველებამ ქართული ლიტერატურული ენის განვითარებაში (ნურავის ნუ მოეჩვენება ეს გადაჭარბებად).

არავინ დაინტერესდა და საზრუნავად არ გაიხადა შეესწავლა, თუ როგორი ენერგიითა და მრისხანსწრაფვით იცვლებოდა შიდა ქართლის დემოგრაფიული შემადგენლობა და შეფარდება ქართველებსა და ჩრდილო-კავკასიიდან ჩამოსახლებულთა შორის! და სხვა და სხვა...

უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ არც აფხაზეთში ყოფილა და შემთხვევითი არაა ომი, რომელმაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი აქ მიიღო. ნგრევა და სისხლისღვრა არც მის ქალაქებსა და სოფლებს დაჰკლებია, დღითიდღე იზრდებოდა დახოცილთა, დაჭრილთა და დასახიჩრებულთა რიცხვი არა მხოლოდ ქართველებსა და აფხაზებს შორის, არამედ სხვა ეროვნების მოსახლეობის წარმომადგენელთა შორისაც. სოხუმის დაბომბვები ხშირად ღებულობდა ბარბაროსულ ფორმებს. (ცეცხლის ალში იყო გახვეული შენობები, დახოცილი გვამებით მოფენილი — ქუჩები და მოედნები, აწიოკებული ოჯახები, მოხუცები და ბავშვები, ატირებული და სტრესამდე მისული ქალები.

რა ხდებოდა ამ დროს თბილისში? ხდება ის, რაც საფუძველს აძლევდა ხალხსაც და ხელისუფლების წარმომადგენლებსაც, — ეფიქრათ: „აფხაზეთის ომი არ იგრძნობაო თბილისში“! ეს, შეიძლება ითქვას, შემზარავი სიმართლეა. თბილისის მაყურებელი ყოველდღე უყურებდა ტელევიზორის ეკრანზე ომის საშინელებას, ხედავდა ქართველ ახალგაზრდა ვაჟკაცების გმირობას და მათს დაღუპვასაც ამ ომში, ისმენდა ყოველ საღამოს მათი სახელის უკვდავსაყოფად სამგლოვიარო მუსიკასა და გალობას, თითქოს არ აკლდათ პატივი და ყურადღება იმათ, ვინც თბილისში არიან ჩამოსვენებულნი და ძმათა სასაფლაოს მიწას მიბარებულნი.

მაგრამ მაყურებელს არც მდარე ხასიათის უგემოვნო „სამხიარულო“ სანახაობანი აკლდა, მას რომ „სულის მოთქმის“ და ერის ტრაგიკულ მდგომარეობაზე ჩაკვირვების საშუალებას არ აძლევდა. ერთი ტელეგადაცემა თბილისელი მსახიობების სტუმრობას ეხებოდა ერთ-ერთ მათგანთან. ეს იყო ჩვეულებრივი, არც თუ იშვიათი სტუმრობა, იმ განსხვავებით, რომ იგი ამ ომის დროს მოხდა და არ შეიძლებოდა და ყველაზე სადუხჭირო ფაქტს არ შეხებოდა. ერთმა სტუმარმა ხელში ჭიქა აიღო, — იმ ახალგაზრდების მოსაგონარი და შესანდობარი შესვა, რომლებიც ომში იღუპებოდნენ.

სიტყვა ისეთი გულწრფელობით და ისეთი განცდით იყო წარმოთქმული, რომ ტელემაყურებელთა გულიც შესძრა და, ალბათ, თანამესუფრე მსახიობებისაც, ყველა ღრმა ადამიანურმა გრძნობამ მოიცვა და გაირინდა, მაგრამ გარინდებამ ძალიან მცირე ხანს გასტანა, თითქოს, სულაც უდროოდ და უადგილოდ გაისმა:

— ახლა, მეგობრებო, მე ერთ **სასაცილო** ამბავს გავიხსენებ ჩვენი თეატრის წარსულიდან!

„სასაცილო ამბავმა“ თავისი დანიშნულება მალე გაამართლა — სტუმართა განწყობილება სასტუმრო-სამხიარულო მიმართულებით წარმართა.

ერთი სიტყვით, არ შეიძლება იმის თქმა, რომ თბილისში ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს, და ყველაფერი ისე ხდება, როგორც უნდა ხდებოდეს. არადა, ერის ინტერესები და ერზე ზრუნვა ისეთ პირობებშიც კი დადგა პირველ ადგილზე, როდესაც ჩვენი ქვეყნის სათავეში ეროვნული საკითხებისადმი ფრიად გულგრილი სოციალ-დემოკრატიული პარტია იდგა, მაგრამ ქართველ ხალხს „ფრონტისაკენ“, პარტიული ხმლის „ქარქაშში ჩაგებისაკენ“ და, როგორც ერთისა, „ფეხზე დადგომისაკენ“ მოუწოდებდნენ. მით უფრო გასაოცარია, რომ დღეს, როდესაც ყველას, რომ იტყვიან, „პირზე აკერია“ ერი და მისი სუვერენიტეტი, ძალიან ნაკლებად ფიქრობენ „ფეხზე როგორც ერთის დადგომაზე“ და პარტიული ხმლების ქარქაშში ჩაგებაზე!

• • •

„ქართულ უზრუნველობას“ წარმოქმნის თავისი მიზეზები აქვს. ერთ-ერთი მათგანი, ალბათ, უმთავრესი ჩვენი ისტორიის მრავალსაუკუნოვანი ძნელბედობაა, რომელიც ერთის მხრივ, აკაჟებდა ერის ნებელობას, მეორეს მხრივ ღლიდა და ადუნებდა მას. „რა არ გადაგვხედია თავს, — წერდა ილია ჭავჭავაძე,—რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლისღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ“ (თხზ. სრ. კრებული, V, 1955, გვ. 11). და თუ ყოველივე ამას „გავუძელით, შევინახეთ ჩვენი თავი და შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა“ — ეს იმიტომ, რომ ქვეყანა და მისი ბედი ჩვენი, მისი შვილების მუდმივი მზრუნველობის საგანს წარმოადგენდა, „ქართულ უზრუნველობასთან“ ერთად დიდი ეროვნული ენერგია და მუდმივი მზრუნველობა მოქმედებდა.

ზრუნვა დამღლავი, დამქანცველი, ხშირად, მომაბეზრებელი განცდაა, მაგრამ უიმისოდ ცხოვრება არ არსებობს და მომავალშიც ბევრი ექნება ჩვენს ერს საზრუნავი. ზრუნვის მოდუნება და შესუსტება შეიძლება ერის დამღუპველ ფაქტორადაც იქცეს, განსაკუთრებით ეხლა, კრიზისულ მდგომარეობაში, როდესაც ზრუნვის მთავარ საგანს ერის მთლიანობა და ერთსულოვნება უნდა შეადგენდეს.

შალვა ხიდაშელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია-93

თბილისი. გუშინ დილით, საქართველოს პარლამენტის შენობის წინ მოხდა შელაპ-შეტაკება პარლამენტის წევრ როინ კალანდაძესა და ერთ-ერთ მოქალაქეს შორის. ჩხუბის მიზეზი გახდა ის, რომ ქოჩორში რ. კალანდაძის მიერ იჯარით აღებულ სახლში დაბინავდა ხუთი ოჯახი. კოჩორის დასახლებული სახლის დირექტორმა მიიღო მსუბუქი მცირე დაზიანება. ინციდენტს შეესწრო ასობით მოქალაქე.

თბილისი. საქართველოს სახელმწიფო მეთაურის მიერ მოწონებულ გეგმაში რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის შესახებ, გათვალისწინებულია ვიცე-პრემიერების ინსტიტუტის შენარჩუნება. მასში აღნიშნულია, რომ უნდა შეიქმნას 19 სამინისტრო, 10 დეპარტამენტი, 8 კომიტეტი და 3 ინსპექცია.

თბილისი. აფხაზეთის სამხედრო კომისიის ბოლო სხდომაზე მოხდა მწვავე შელაპარაკება რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს — ბორის პასტუხოვსა და სერგეი შოიგუს შორის. საქმე ის გახლავთ, რომ ბ. პასტუხოვი მხარს არ უჭერდა ე. წ. კანონიერი ორგანოების მოქმედების დაუყოვნებლივ აღდგენას ქ. სოხუმში, ხოლო შოიგუ მოითხოვდა არძინბას და მის თანამშრომელთა დაუყოვნებლივ დაბრუნებას სოხუმში. ამის ნიადაგზე მათ შორის ადგილი ჰქონდა სიტყვიერ შელაპარაკებას, რის შემდეგაც შოიგუმ პროტესტის ნიშნად დატოვა სხდომა.

ბორჯომი. წაღვერის 500-ადგილიანი პანსიონატი „კეცხოველი" (დირექტორი — ელ. ორჯონიკიძე) ა. წ. ივლის-აგვისტოში მთელი დატვირთვით მუშაობდა. პანსიონატის 24-დღიანი საგზურის ღირებულებაა 80.000 კუპონი. აქ სახელმწიფო სტრუქტურებიდან მხოლოდ პური შემოდის. ხოლო ფქვილი, ხორცი და რძის პროდუქტები პანსიონატს მიეწოდება რაიონში არსებული მეურნეობებიდან.

პანსიონატის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ „კეცხოვლის" დასასვენებელი სახლი ზამთარშიც იმუშავებს. მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს ბორჯომის კომპოზიტორთა სახლიც, რომელიც 16 წლის წინათ, იჯარით აიღო რაიონში და რესპუბლიკაში ერთ-ერთმა მძლავრმა ფირმამ „სავანელმა" (დირექტორი — ჯამბულ გოგოლაძე). უკვე რამდენიმე წელია, რაც ფირმას აქვს მეცხოველეობის და მეღორეობის საკუთარი ფერმები. „სავანელმა" იჯარით აიღო ბორჯომის რძის კომბინატი. ასე, რომ კომპოზიტორთა სახლის დამსვენებლები კმაყოფილნი დარჩებიან.

ზუგდიდი. ქ. ზუგდიდში ყველაფერი კეთდება, რათა 1 სექტემბერს სასწავლო პროცესი დაიწყოს.

თითქმის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემად კვლავ რჩება სახელმძღვანელოების უქონლობა და სასკოლო ინვენტარის ნაკლებობა.

უმუშევრები მოთხოვნებს აყენებენ

კინოს სახლში გაიმართა თბილისის უმუშევარ მოქალაქეთა პირველი კრება. თბილისის შრომის ბირჟის მონაცემებით, მარტო დედაქალაქში უმუშევრის ოფიციალური სტატუსი მინიჭებული აქვს 4 ათას კაცს. ასეთი სტატუსის მაძიებელი კიდევ 18 ათასი კაცია. კრების მოწყობის ინიციატორთა და ორგანიზატორთა აზრით კი უმუშევარ ადამიანთა რიცხვი, სულ ცოტა, ასი ათასს შეადგენს.

— ჩვენს მოთხოვნებს პოლიტიკური ხასიათი არა აქვს, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ინიციატორმა და ორგანიზატორმა, უმუშევარმა ინჟინერმა გიგა ფრიდონაშვილმა. — რეალურად შეგნებული გვაქვს, თუ რა მძიმე ვითარებაშია დღევანდელი საქართველო და მიუღებლად მიგვაჩნია პროტესტის გამოხატვის ისეთი ფორმა, როგორიც მიტინგია. მაგრამ ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია გამოვთქვათ საკუთარი აზრი და დავიცვათ იგი ქვეყნის ხელმძღვანელობასა და საზოგადოებრიობას.

კრების მიერ ქვეყნის პარლამენტისა და მთავრობისადმი მიღებულ მიმართვაში ნათქვამია, რომ საჭიროა გადაისინჯოს და ცვლილებები იქნეს შეტანილი კანონში მოსახლეობის დასაქმების შესახებ, ცვლილებები უნდა შევიტანოთ შრომის კანონთა კოდექსშიც, რადგან იგი არ შეესაბამება დღევანდელობას, საჭიროა გაიზარდოს ფიზიოლოგიური და სოციალური მინიმუმების ოფიციალური ნორმატივები, დამუშავდეს უმუშევრებისადმი პრაქტიკული დახმარების ღონისძიებათა პროგრამები, განთავისუფლდნენ ისინი კომუნალური მომსახურების ქირისაგან, მიეცეთ საქალაქო ტრანსპორტით უფასო გადაადგილების უფლება, ისარგებლონ უფასო სასადილოებითა და აფთიაქებით, ხელახლა დაანგარიშდეს ფულადი ანაბრები შემნახველ წიგნაკებზე ქვეყნის ოფიციალური კურსის შესაბამისად და სხვ.

თუ დეპუტატები უმოქმედობას გამოიჩენენ, ნათქვამია მიმართვაში, კრება იტოვებს უფლებას უნდობლობა გამოუცხადოს იმათ, ვისაც ხმა მისცეს ახლანდელმა უმუშევარმა ამომრჩევლებმა.

ეს ჩვენი საქართველოა!



ზურაბ და მარლამ გენგიურების ფოტო.

თელაველები ჰყვებოდნენ!..

ჩვენს სატკივარზე

უსამართლობას, განუკითხაობას, ადამიანის ძარცვა-გლეჯას ბოლო არ უჩანს. უკონტროლობამ თავაშვებული და ხელისმომთბობი გააქტიურა, პატიოსანი კი საგონებელში ჩააგდო.

— სხვისა რა მოგახსენოთ და ჩვენს რაიონში კი ასეა, — ამბობს მოქალაქე. — მაღაზიაში დიდი ხანია არც პურის ფქვილი გაყიდულა, და არც პური. ისე, თუ დაგჭირდა, მამასისხლად პურს და ფქვილს კი არა, ჩიტის რძეს იშოვნი. ფული თქვი, თორემ უშოვნელი რა არის დედამიწაზე. მაგრამ ყველა ხომ ვერ წვდება ამ ფასებს, და ვართ ღვთის ანაბარა, ჰაერში გამოკიდებული. იცით, ჩვენს რაიონში რა ღირს 1 ცალი პური? 400-500 კუპონი! ერთი შეხედვით, რა სახეები აქვთ პურის მომტანებს, გეგონება დიდ საქმეს აკეთებენო, გაბღენძილები დაიარებიან სოფელში და ამ დალოცვილ პურს მამასისხლად ყიდიან.

— ახლა ტრანსპორტს არ იკითხავთ? — გააგრძელა. — „იკარუსსა" და რბილ მანქანას ვინ გაიკარებს. თელავიდან თბილისში ჩამოსვლას ჩემი ორი თვის ხელფასი არ ეყოფა. ჩავიკეტეთ სახლში ჩემნაირები და ეგ არის... ერთ დღეს ჩემი თბილისში წამოსვლა აუცილებელი გახდა, ბავშვი ავად გამიხდა. „იკარუსით" მგზავრობაზე ფიქრიც ზედმეტი იყო და, რა თქმა უნდა, მატარებელს მივაშურე: — იქ უამრავი ჩემნაირი ხალხი დამხვდა. როგორც იქნა ჩავჯექი.... გზიდან გამწარებულნი და დაძვრას ველით. არაფერი გიტყვით, ის ჩვენი მატარებელი ადგილიდან არ იძვრის....

მინებჩალეწილი, ჭუჭყიანი, ხალხით გატენილი მატარებელი ბოლოს, როგორც იქნა, დიდი დაგვიანებით დაიძრა, მაგრამ კი არ მიდის, ურემივით მიგორავს! ნერვები გვეწყვიტება, ეჰ, ვის სცალია ხალხისათვის! რას გავუძელით, კაცო! ბოლოს შინიდან ბოთლებით წამოღებული წყალიც შემოგველია და უწყლობამ სულ დაგვრია ხელი. თელავის სადგურში წყლის წვეთს ვერ იპოვი. მხოლოდ ღამის ხუთ საათზე ჩამოვაღწიეთ თბილისში.

იზა ჯაჭვაძე.

ფეხბურთი

გაიმართა მსოფლიოს XV ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ფეხბურთში. მეექვსე ჯგუფში ავსტრიის ნაკრებმა ვენაში 3:0 დაამარცხა ფინეთის ნაკრები. ამ ჯგუფში 11-11 ქულით წინ არიან საფრანგეთისა და შვედეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები, რომელთაც ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრების ჩინებული შესაძლებლობა აქვთ. მესამე შესარჩევ ჯგუფში დანიის ეროვნულმა ნაკრებმა თავის სტადიონზე 4:0 სძლია ლიტვის ნაკრებს. ჯგუფის ლიდერს — ირლანდიის ნაკრებს 15 ქულა აქვს. მას მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება დანიის ნაკრები.

• • •

დაიწყო რუსეთის ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტური. ასპარეზობის ერთპიროვნული ლიდერია მოსკოვის „სპარტაკი", რომელიც კვლავ მოიპოვებს ჩემპიონის ოქროს მედლებს, რადგან უახლოეს მეტოქეს დედაქალაქის „ტორპედოს" სპარტაკელები 10 ქულით უსწრებენ. ამ ტურის შემდეგ რუსეთის ეროვნული პირველობა დროებით შეწყდება, რადგან 8 სექტემბერს ბუდაპეშტში გაიმართება მსოფლიოს XV ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა უნგრეთისა და რუსეთის ნაკრებ გუნდებს შორის. როგორც ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რუსმა ფეხბურთელებმა კარგა ხნით ადრე გაინაღდეს ამერიკის შეერთებული შტატების ფინალურ ტურნირში თამაშის უფლება.

• • •

თბილისში „ქარიშხალას" დახურულ კომპლექსში რამდენიმე დღის გრძელდებოდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში დახურულ დარბაზებისათვის. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ვესტა" და ზესტაფონის გუნდი. ასპარეზობა ანგარიშით — 5:2 მოიგეს თბილისელებმა და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს. 24 ქულით მეორე ადგილზეა ზესტაფონის კლუბი. 15 ქულა დააგროვეს მესამე ადგილზე გასულმა ფოთელმა ფეხბურთელებმა.

1 სექტემბერს ბელფასტში (ჩრდილოეთ ირლანდია) გაიმართება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საკვალიფიკაციო შეხვედრა ფეხბურთში. ამ ქვეყნის ჩემპიონი „ლინფილდი", რომელმაც თბილისში 1:2 წააგო დინამოსთან, ემზადება ქართველ ფეხბურთელებთან საასპარეზოდ. თავისი ქვეყნის ჩემპიონატის გასვლითი შეხვედრა „ლინფილდმა" ჩინებულად წარმართა და გაიმარჯვა — 3:1 „კარიკ რეინჯერსის" კლუბთან. რაც შეეხება თბილისელებს, ისინიც ინტენსიურად ემზადებიან და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში ცდიან ძალებს.

ჩოგბურთი

ორშაბათს, 30 აგვისტოს ნიუიორკის კორტებზე დაიწყება ამერიკის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში, რომელიც დიდი მუზარადის ჩათვლაში შედის. ამ ასპარეზობას ეძღვნება 100000-დოლარიანი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც სკენექტადის მახლობლად ეწყობა. ლეილა მესხმა მეორე წრეში სამხრეთ აფრიკელ ე. რეინას აჯობა — 6:2, 6:4 და მესამე წრეში თამაშის უფლება მიიღო.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო სატრანსპორტო
უმაღლესი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი
აცხადებს მოსწავლეთა მიღება 1993-94 სასწავლო წლისათვის
სასწავლებელი ამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს
ავტო-სატრანსპორტო მეურნეობებისათვის.

სასწავლებლის პირველ კურსზე მიიღებიან 9 კლასის განათლების მქონე 15-30 წლამდე ახალგაზრდები.

მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია 2300 კუპონის ოდენობით.

სწავლების პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები მიიღებენ ზეინკალ-ავტოშემკეთებლის სპეციალობის დიპლომს, საშუალო განათლების ატესტატს და „ვც" კატეგორიის მძღოლის მართვის მოწმობას.

ხოლო სწავლების მეორე ეტაპის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები მიიღებენ ავტოტრანსპორტის მექანიკოსის (უმცროსი ინჟინერი) სპეციალობას და შესაბამისი კვალიფიკაციის დიპლომს.

სასწავლებელში სწავლება უფასოა.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.
საბუთების მიღება მიმდინარეობს ა.წ. 10 სექტემბრამდე.
ჩარიცხვა საკონკურსო შერჩევით.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე:
თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი № 65. სატრანსორტო უმაღლესი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.
ტელეფონები: 74-59-06, 75-59-08, 74-59-09.

დირექცია

.ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვება
შოთა ინწკირველი

პირველად თბილისში გათამაშდა

ბოტვინიკის ვარიანტმა საერთაშორისო აღიარება 1945 წელს მოიპოვა რადიომატჩში (აშშ-სსრკ. დენკერი-ბოტვინიკი). ვარიანტის პირველწყაროდ მიჩნეული იყო სხელტინგი-გრიუნფელდის პარტიის დებიუტი, 1936 წელი. საქართველოს ძველი თაობის მოჭადრაკეთა პარტიების მოძიებისას (ჩვენთან საჭადრაკო არქივი არ არსებობს), 20-იანი წლების პრესაში წავაწყდი ამიერკავკასიის პირველ ჩემპიონატში ამ ვარიანტით გათამაშებულ მაკაგონოვ-სოროკინის პარტიას. უდავოა, რომ ესაა პირველწყარო.

მაკაგონოვი-სოროკინი, ლაზიერის გამბიტი. თბილისი, 1928 წელი. 10 მკათათვე. 1. d4 d5 2. c4 e6 3. მc3 c6 4. მf3 მf6 5. კg5 dc 6. e4 b5 7. e5 h6 8. კh4 g5 9. მg5 hg 10. კg5 მbd7 11. ef, ამ პოზიციაში აქტიური გეგმა, კონტრთამაში ბოტვინიკმა დაამუშავა. 11. ... კb4 12. g3 მb6 13. კg2 მd5 14. ლd2 ლa5 15. ეc1 კb7 16. 0-0 0-0-0 17. ლc2 კc3? 18. bc a6 19. h4 ლa3 20. ეfe1 მფb8 21. ეe5 ეd6 22. კd5! cd. საკუთარი პაიკებით ჩაკეტილი თეთრუჯროვანი კუ ბრძოლიდან გამოეთიშა. 23. კf4! მფa8 24. h5 ეdd8 25. h6 ეdg8 26. მფg2 ეg6 27. კg5? კc8? (შავებს ყაიმის შანსს აძლევდა 27. ... ეg5) 28. ეh1 ეh7 29. კc1! ლa5? (29. ... ლf8) 30. ეg5 ეhh6? 31. ეh6 ეh6 32. ეg8. სოროკინი დანებდა.

კოტოვი (მოსკოვი)



ბერნშტეინი (პარიზი)

თეთრები იგებენ.

პოზიცია № 2. ლონდონი, 1899 წელი.

იანოვსკი: მფh1, ლh5, ეg1, g5, მh4, პ-b3, c4, d5, e4, f3, h3 (11);

შლეხტერი: მფg8, ლb2, ეe7, f7, კc8, პ-a6, b4, c5, d6, f4, g7, h7 (12);

თეთრები იგებენ. ველით თქვენს პასუხს.

ჭაბუკთა შემოქმედება

ახლა გავეცნოთ თოთხმეტ წლამდე ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაზე გათამაშებულ საინტერესო პარტიას. შავები გერმანელი ნაუმანისაა.

ბახტაძე-ნაუმანი. ძველინდური დასაწყისი. ბრატისლავა, 1993 წელი. მარიამობისთვე. 1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d3 g6 4. g3 კg7 5. კg2 e6 6. 0-0 მge7 7. c3 d5 8. ლe2 0-0 9. e5 d4 10. c4 ლc7 11. კf4 b6 12. მbd2 კb7 13. მe4! მფh8 (თუ 13. ... მe5, მაშინ 14. მe5 კe5 15. მf6!) 14. მf6 მg8 15. h4 ლe7 16. მg8 მფg8 17. h5 h6 18. g4 g5 19. კg3 ეae8 20. მd2 ლc7 21. ეae1 ლd8 22. f4 gf 23. კf4 ლh4 24. კe4 კa8 25. ლg2 მb4 26. მf3 ლe7 27. g5 მფh8, ნაუმანი წყალს ამღვრევს, მაგრამ... 28. gh ეg8 29. hg ეg7 30. კg5 ეeg8 31. კg6 ლh7 32. კf6 fg 33. ლg6 ლf7 34. მg5, ნაუმანი დანებდა.

მუსიკოსი მოჭადრაკე

ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი და დირიჟორი რიჰარდ შტრაუსი ჭადრაკზე დიდად შეყვარებული იყო. ვენაში ყოფნისას იგი საჭადრაკო კლუბის მუდმივი სტუმარი გახლდათ.

შტრაუსი-ცუკერნბეკერი. „ესპანური შავებით": ვენა, 1906 წელი. 1. e4 e5 2. მf3 მf6 3. მc3 კb4 4. მd5 (სწრაფვა. უფრო სოლიდურია 4. კc4 ან 4. მe5) 4. ... მd5 5. ed d6 6. c3 კc5 7. d4 ed 8. კd3!? ლe7 9. მფd2 dc 10. bc 0-0 11. ეe1 ლd7? (11. .. ლf6) 12. მg5 h6 13. ლh5 ლg4? ცხადია შავებისათვის სასურველია ლაზიერების გაცვლა, მაგრამ მათ წამიერად დაასუსტეს მე-7 და მე-8 ჰორიზონტალი, რითაც კარგად სარგებლობს მაესტრო შტრაუსი. 14. ლf7!! ეf7 15. ეe8 ეf8 16. კh7 მფh8 17. ეf8×.

ჩვენი რუბრიკის ერთგულ მრევლს ამოსახსნელად ვთავაზობ დიდოსტატთა შემოქმედებიდან ორ მშვენიერ დაბოლოებას (გრონინგენი, 1946 წელი. დიდი საერთაშორისო ტურნირი).

ზოგი რამ საინტერესო

წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებული ნაპოლეონ ბონაპარტე დროს ჭადრაკის თამაშში კლავდა. ჭადრაკი მას საფრანგეთიდან მეგობრებმა გამოუგზავნეს. იმპერატორს არც კი უფიქრია, რომ სადაფისა და სპილოს ძვლის ფიგურებში ჩადებული იყო კუნძულიდან გაქცევის გეგმები. ვითარებათა არახელსაყრელად განვითარების გამო, მეგობრებმა ვერ შეატყობინეს იმპერატორს ეს საიდუმლო, რომელიც მხოლოდ 1933 წელს გაიხსნა, როცა ჭადრაკი მუზეუმში მოხვდა.

როგორც საყვარელიძის ჭადრაკის სახელმძღვანელოში (1926) აღნიშნულია, 1920 წელს თბილისში გამართულა ოცდახუთკაციანი საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც პირველი ადგილი და ჯილდო მოუპოვებია ხარლამპი სირბილაძეს. ამ ცნობის თანახმად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისის (საქართველოს?!) პირველი ჩემპიონი ყოფილა არა იოპანი (1922), აღამალიანი (1925), სმოროდსკი (1926), არამედ ხარლამპი სირბილაძე. საყვარელიძე მას მიიჩნევს თავისი დროის უდიდეს ქართველ მოჭადრაკედ. წინა საუკუნის 90-იან წლებში პეტერბურგში სტუდენტი სირბილაძე წარმატებით ებრძოდა გამოჩენილ რუს ოსტატებს — შიფერს, ალაპინსა და სხვებს. „უმეტესწილად უგებდა კიდეც", — აღნიშნავს ავტორი.

31 მკათათვე. **მენჩიკი-გრაფი:** 22. ლh5! ეტლის შეუწირავად (21. ეd1-d7!). მისვე 21. ლh5-ს მოჰყვებოდა 21 .. ლh2! ეს და აღრინდელი დავალებები შეასრულეს: ნუგზარ კახიძემ, მარლენ დოლიძემ, ზეიად კაპანაძემ (ბათუმი), ნინო ჩხაიძემ, მანუჩარ ქათამაძემ (ქობულეთი), სალომე და გიორგი მეტრეველებმა (ქუთაისი), ჯუმბერ ჩიქოვანმა, გივი კორძახიამ (აბაშა), ოთარ ჯინჭარაძემ, მერაბ ზაქარიაძემ (ოზურგეთი), მამია გუჯაბიძემ (ლანჩხუთი, შრომისუბანი), მირანდა გავაშელიშვილმა (თერჯოლა, ლეანკითი), გურამ მეავანაძემ (ბაღდათი, როხი), პეტრე ივანიშვილმა (ჭიათურა), ელადა ქაროსანიძემ, ალექსანდრე ქაჯაიამ (წყალტუბო), ნიკოლოზ გავაშელაშვილმა, ანზორ ოდიკაძემ (ზესტაფონი), შალვა მოსეშვილმა (ვალე), შორენა შოშიაშვილმა, ინგა ბალაშვილმა (გორი, გორიჯვარი), მამუკა ზაქარაშვილმა (კასპი), ბათურ პატაშურმა (ყვარელი, ახალსოფელი), გიორგი კეკელაშვილმა (წნორი), გივი შაქარაშვილმა (გურჯაანი, ვაზისუბანი), ავთანდილ რეხვიაშვილმა (ბოლნისი), აკაკი მიშველიძემ, ვლადიმერ შავგულიძემ, ნათია კაკაბაძემ, რეზო ზენაიშვილმა, თ. გოგსაძემ, გურამ ბასილაშვილმა, მალხაზ ნიქაცაძემ, ლევან ნაკაშიძემ, ზურო მუმლაძემ, ლამარა ჭავჭანიძემ, ა. მაისურაძემ, ნინო მაისურაძემ, პეტრიაშვილმა, ზ. ფავლენიშვილმა, შალვა თხინვალელმა, რომან მოდებაძემ (თბილისი).

სწავლა პირველ სექტემბერს განახლდება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა პირველ სექტემბერს განახლდება.

თბილისის უნივერსიტეტს 75 წლისთავის საიუბილეო წელს მისაღებ გამოცდებზე ოთხიათასხუთასმა აბიტურიენტმა მიაშურა. მათგან 2300-მდე სტუდენტი გახდა. 600-მდე ახალგაზრდას, რომლებმაც თუმცა გამოცდები დადებითი ქულებით დაამთავრეს, მაგრამ კონკურსში ვერ გაიმარჯვეს, უნივერსიტეტის რექტორატმა მისცა საშუალება დაეუფლონ უმაღლეს განათლებას ფასიანი სწავლების განყოფილებაზე.

26 აგვისტოს უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტსა და კათედრაზე ზაფხულის არდადეგების შემდეგ მუშაობა განახლდა. დავალიანების მქონე სტუდენტებს საშუალება აქვთ გადიონ დამატებით გამოცდებზე. სამდივნოებში ხდება სალექციო ცხრილების შედგენა. სამეურნეო ნაწილმა მოამზადა აუდიტორიები და კაბინეტ-ლაბორატორიები.

ხარაგოულ-ხაშურის მონაკვეთი— თითქმის ბერმუდის სამკუთხედი

21 აგვისტოს ღამის 10 საათზე რკინიგზის სადგურ ხარაგოულის შემოსასვლელთან ისრიდან ამოვარდა და ლიანდაგებს ასცდა ორი ელმავალი, ხორბლით დატვირთული ორი სპეციალური ვაგონი, რომლებიც კიდეც მიენარცხა. ჩავარდნილი ელმავლისა და ვაგონების ამოსაყვანად ადგილზე მოვიდნენ ხაშურის, ხარაგაულისა და სამტრედიის სპეციალური სამსახურები, მოიტანეს ამწევები, ბულდოზერები, ტრაქტორები და სხვა ტექნიკა. სამუშაოებს, რომელიც 24 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, ხელმძღვანელობდა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ომარ თუხარელი.

27 აგვისტოს, დილით გაიხსნა გზა, ხოლო შუადღისას აღსდგა მოძრაობა გზის ამ მონაკვეთზე. მიმდინარეობს ავარიის გამომწვევი მიზეზების დადგენა.

ჰენრი შარიქაძე.

ხსოვნა



ვლადიმერ ცაგარეიშვილი

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შედეგად ჩვენგან წავიდა გამოცდილი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, საწარმოო გაერთიანება „თბილკონდიტერის" გენერალური დირექტორი ვლადიმერ (ვალო) გიორგის ძე ცაგარეიშვილი.

ბატონი ვლადიმერი (ვალო) დაიბადა 1940 წელს ქ. თბილისში, მშენებლის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრებასთან ერთად 1958 წელს ეზიარა შრომას.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1967 წელს განაწილებით სამუშაოდ იგზავნება „აპარპურკომბინატში" ცვლის უფროსად. საქმის ცოდნამ, შრომაში ულალატობამ მისი სახელი და ავტორიტეტი ცნობილი გახადა. მალე იგი სამუშაოდ გადმოიყვანეს ქ. თბილისის მე-2 პურის ქარხანაში ცვლის უფროსად. წლების განმავლობაში მუშაობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე.

ამ დროისათვის ბატონმა ვლადიმერმა (ვალომ) თავისი ნიჭი და უნარი სრულად გამოამჟღავნა, 1978 წლის იანვრიდან გადაჰყავთ საწარმოო გაერთიანება „თბილკონდიტერში" მთავარ ინჟინრად, 1984 წლის აპრილიდან „საქაგრომრეწვის" შაქრის და საკონდიტრო მრეწველობის სამმართველოს უფროსად.

1986 წლის სექტემბრიდან საწარმოო გაერთიანება „თბილკონდიტერის" მშრომელებმა იგი აირჩიეს გენერალური დირექტორის თანამდებობაზე, რომელსაც იგი გარდაცვალებამდე ასრულებდა.

სამუდამოდ წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი, ნამდვილი, ჭეშმარიტი თბილისელი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება. დაქვრივდა და დაობლდა მეუღლე და ორი შვილი, დამწუხრდა საყვარელი დედა და მეგობრები. მარადიული ხსოვნა და პატივისცემა არ მოკლებოდეს მის ნათელ სულს.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო; საწარმოო გაერთიანება „თბილკონდიტერი".

პეტრე იბერის სახელობის
რელიგიურ-ჰუმანიტარული
უმაღლესი კოლეჯი

აცხადებს მიღებას ეკლესიოლოგიის ფაკულტეტის შემდეგ განყოფილებებზე:
1. საეკლესიო ხელოვნებათმცოდნეობა
2. დასავლეთ ევროპის ენა და ლიტერატურა
3. ქართველოლოგია

დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე მიიღებიან სტუდენტები ენის გარკვეული ცოდნით, რომლის კვალიფიციური ამაღლება რელიგიისა და ეკლესიის ისტორიის მიმართულებით მოამზადებს მათგან სპეციალისტებს რელიგიურ-ჰუმანიტარული ლიტერატურის თარგმანისათვის და ინფორმაციისათვის.

ქართველოლოგიის, როგორც ერისმცოდნეობის განყოფილება რელიგიისა, ისტორიისა და ქართული ეკლესიის ისტორიის ფონზე შეისწავლის მსოფლიოს ქართველოლოგთა ნამოღვაწარსა, ქართველოლოგიის ისტორიულ შედეგებსა და თანამედროვე პროცესებს, და ეროვნული რელიგიური ცნობიერების პრობლემებს.

სამივე განყოფილება გარდა თვითეულის სპეციფიკური განათლებისა, მანიჭებს უფლებას რელიგიის ისტორიის სწავლებისას სკოლებში.
სწავლების ვადა ხუთი წელია.

სწავლის გადასახადი შეიძლება კოლეჯის საბანკო ანგარიშზე შეტანილ იქნას როგორც დოლარის კურსით, ასევე კუპონით:

დაწვრილებით ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ კოლეჯის მიმღები კომისიის მდივანს ტელეფონზე: 98-82-07, 98-91-39.

მისამართი:
ერეკლე მეორის მოედანი № 10.
მეცადინეობა დაიწყება 20 ოქტომბერს.

პეტრე იბერის სახელობის რელიგიურ-ჰუმანიტარული კოლეჯის
სამეცნიერო საბჭო.
20 აგვისტო 1993 წელი.

ЕСЛИ ХОТИТЕ КУПИТЬ КВАРТИРУ,
ПРОЧТИТЕ ЭТО ОБЪЯВЛЕНИЕ

Продаются в собственность двух- и трёхкомнатные квартиры в ближайшем Подмосковье (9 км. от Москвы) в новом доме.

Контактные телефоны: (095) 441-05-37
374-65-03
208-93-47
337-30-31

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1993 წლის 28 აგვისტოდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	5 406.68	კუპონი
ავსტრიული შილინგი	680.08	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	11 978.05	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	2 267.65	კუპონი
გერმანული მარკა	4 787.76	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	4 260.49	კუპონი
დანიური კრონი	1 169.86	კუპონი
100 იტალიური ლირა	506.15	კუპონი
კანადური დოლარი	6 151.12	კუპონი
ნორვეგიული კრონი	1 104.76	კუპონი
აშშ დოლარი	8 066.00	კუპონი
ფინური მარკა	1 387.52	კუპონი
ფრანგული ფრანკი	1 378.84	კუპონი
შვედური კრონი	1 001.41	კუპონი
შვეიცარული ფრანკი	5 436.40	კუპონი
10 იაპონური იენი	767.13	კუპონი
ეკიუ	9 137.18	კუპონი
10 ესპანური პესეტა	597.29	კუპონი
10 ბერძნული დრაჰმა	340.90	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	11 203.71	კუპონი
ისლანდიური კრონი	113.25	კუპონი
ქუვეითური დინარი	26 841.03	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	46.76	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	471.59	კუპონი
სინგაპურული დოლარი	5 013.69	კუპონი
10 თურქული ლირა	6.88	კუპონი
ს.დ.რ.	11 305.01	კუპონი
100 რუსული მანეთი	740.00	კუპონი
ლიტვური ლიტი	1 822.25	კუპონი
ლატვიური ლატი	11 406.88	კუპონი
ესტონური კრონი	540.79	კუპონი
1000 უკრაინული კარბოვანეცი	451.00	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის
ეროვნული ბანკი

ტექნიკური მიზეზების გამო ვარღვევთ ტრადიციას, ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ოთხგვერდიანია.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოზიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 89.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

შეკვეთა 06684